ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, მამაკაცი მოკლეს

გვ.7



**19 თებერვლიდან**

ჯონატან სვიფტი

**გულივერის მოგზაურობა**

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2019 №42 (7897) ფასი: 60 თეთრი

# რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ ზვიად კუპრავას დაკავება





გვ.3

## ანაკლიის პროექტის ჩაშლა ივანიშვილს უნდა?!

გვ.2



ლევან ალაფიშვილი: „კვირიკაშვილის პრინციპული მოთხოვნა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, შესაძლოა, შიდაპარტიული დაპირისპირების საგანიც იყო“

## „ოცნებას“ პატრიარქი და საპატრიარქო „პლენში“ ჰყავს აყვანილი“



გვ.5

მეგი გოცირიძე: „ივანიშვილი სასულიერო პირებზე კომპრომატებს აგროვებს და მათი დახმარებით ეკლესიას აშანტაჟებს“



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ანაკლიის პორტმა, შესაძლოა, ქალაქი ფოთი საერთოდ გააქროს“

„რატომ გაახსენდათ ახლა თიბისი ბანკის 11 წლის წინანდელი საქმე, ინვესტიციების შემოდინების საბოტაჟი ხომ არ არის აქ?“

**სამართალი** გვ.7

### ზუგდიდში მანქანამ ქალი გაიტანა



მძღოლი პოლიციას ჩაბარდა

### სამტრედიაში სახლი აფეთქდა

68 წლის ნუკრი მეფარიშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს







### „გული ჰქონდა გაჩერებული“

გორში 16 წლის გოგონამ თავის ჩამოხრჩობა ცადა, მისმა თანაკლასელმა ბიჭმა კი ვენები გადაიჭრა

**ეკონომიკა** გვ.6



თემურ ბასილია: „აუცილებელია, მკაფიოდ ითქვას — იმის მსგავსი, რასაც დღეს „თიბისი ბანკს“ ედავებიან, სხვა ბანკებშიც ხდებოდა თუ არა?“



ხაზარაძე: „სახელმწიფო უწყებების მხრიდან უპრეცედენტო შემოტევისა და წნეხის ქვეშ ვიმყოფებით“



ივანე მაჭავარიანი: „არც ანაკლიას, არც საკუთრივ „თიბისი ბანკსა“ და საფინანსო სისტემას არანაირი საფრთხე არ ემუქრება“

სასაკლაოებში პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების ფასი გაიზარდა



ISSN 1987-9385

**4** ძლიერმა ქარმა სამ დღეში 87 ხე, 62 შენობის სახურავი და 32 მანქანა დააზიანა

**3** თორნიკე მამალაძე: „ჩემი ძმის ნამდვილ დიაგნოზს არ გვეუბნებიან, ამიტომ, შესაძლოა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი მოვიწვიოთ“

**4** შალვა ხაჭაპურიძე: „პედოფილიის მოტივი სექსუალური ლტოლვაა“

**4** აკაკი ასათიანი: „ივანიშვილი თავის პარტიაშიც ვეღარ არის მყარად“

# ანაკლიის პროექტის ჩაშლა ივანიშვილს უნდა?!



## ლევან ალაფიშვილი: „კვირიკაშვილის პრინციპული მოთხოვნა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, შესაძლოა, შიდაპარტიული დაპირისპირების საგანიც იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

**ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროცესი შეიძლება შეფერხდეს ან საერთოდ ჩაიშალოს. გამოითქვა მოსაზრებები, რომ, შესაძლოა, ეს ინტერესები „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ან სულაც რუსეთს ჰქონდეს. მისი შესაძლო ჩაშლა დაუკავშირეს ყოფილ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსაც. ის, რომ პროექტის მომავალი გარკვეული რისკის ქვეშაა, „თიბისი ბანკის“ თანადამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემაც დაადასტურა 18 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე.**

არსებობს თუ არა რისკი ანაკლიის პორტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რამდენად რეალურია ეს რისკი და რა პრობლემებია პროექტის განხორციელების გზაზე? – აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი ლევან ალაფიშვილი საუბრობს:

***– რა განცხადებებიც მოვისმინეთ პრესკონფერენციაზე ხაზარაძისგან, ხომ არ ხედავთ იმის რისკს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, როგორიც ანაკლიის პორტია, შეფერხდეს ან სულაც ჩაიშალოს?***

– ამ საკითხზე პრაქტიკულად დაადასტურა ხაზარაძემ, რომ უბრალოდ რისკი კი არ დგება, არამედ უკვე ეს რისკი რეალურია და ამ პროექტის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს არა მხოლოდ ბოლო სკანდალის გამო, არამედ ხელისუფლების დამოკიდებულების, გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების გამო.

***– რას გულისხმობთ?***

– ყურადღებას 2 მთავარ საკითხზე გავამახვილებ. პირველი, ეს არის კონსტიტუცია. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს არის კონსტიტუციური ჩანაწერი ანაკლიის შესახებ, რომელიც ასეთი შინაარსის არის, რომ ანაკლიაში, ისევე, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში, შეიძლება იმოქმედოს განსხვავებულმა სამართლებრივმა რეჟიმმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე შესაძლოა საქართველოს იურისდიქცია, კანონები, სასამართლო არ მოქმედებდეს და მოქმედებდეს უცხო ქვეყნის სამართალი და არბიტრაჟი.

***– საერთაშორისო?***

– საერთაშორისოც შეიძლება იყოს და ასევე შეიძლება, იმ ტერიტორიაზე შეიქმნას კონკრეტული შემთხვევებისთვის. ეს და სხვა შემთხვევები განისაზღვრება ორგანული კანონით. აქ არის მთავარი საკითხი. მოგეხსენებათ, კანონის მიღება პარლამენტის კომპეტენციაა, რომელსაც უმრავლესობა სჭირდება, ანუ წმინდა სამართლებრივი საკითხიდან გადავდივართ პოლიტიკურ საკითხზე.

***– ანუ ეს კანონი აქამდეც უნდა მიეღოთ, მაგრამ არაფერი გაკეთებულა ამისთვის?***

– კანონი მიღებული არ არის. ეს ფაქტია. მისი მიღება შეეძლო მმართველ უმრავლესობას და არ არის მიღებული. ეს არის მოცემულობა, ანუ კონსტიტუციის ეს ნაწილი ამ საკითხზე უკვე კითხვის ნიშნებს ბადებს.

შემდგომ არის მთავრობის ქმედებები. მოგეხსენებათ, გასული წლის ბიუჯეტი დაიგეგმა პრემიერ კვირიკაშვილის მიერ. მათ შორის დიდი ნაწილი იყო ინფრასტრუქტურული პროექტები და მათ შორის დიდი ნაწილი იყო ის, რაც დაკავშირებული იყო ანაკლიასთან, ინფრასტრუქტურა, გზები და ა.შ. კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ ახალ პრემიერს ბიუჯეტი არ შეუცვლია წლის ბოლომდე, მაგრამ ერთი რამე არ გააკეთა, კვირიკაშვილის მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები არ განახორციელა, მათ შორის ათობით მილიონის ინფასტრუქტურული პროექტი, რაც ანაკლიასთან იყო დაკავშირებული. არც ფული დახარჯა და არც საქმე გააკეთა.

ერთი რამეც უნდა გავიხსენო,

**ანაკლიის განხილვა კონკრეტული ბიზნესჯგუფის კონტექსტში სწორი არ არის. ორივე საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა უსაფრთხოების თვალსაზრისით. „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით საუბარია ინსტიტუციურ უსაფრთხოებაზე. მხედველობაში მაქვს ბიზნესთან დამოკიდებულება.**

რაც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. კერძოდ ის, რომ კვირიკაშვილთან ერთად რაღაცები შეიცვალა, მათ შორის ანაკლიასთან დაკავშირებითაც. უფრო სწორად, ანაკლია იყო ის ერთ-ერთი სერიოზული საკითხი, რომლის გამოც კვირიკაშვილი გაუშვეს თანამდებობიდან.

გაგახსენებთ 2017 წელს, საკონსტიტუციო პროცესში, საჯარო განხილვების დროს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კონსტიტუციაში ანაკლიის შესახებ ჩანაწერი გაჩნდა მთავრობის, ანუ პრემიერის პრინციპული მოთხოვნის გამო. ჩვენ შევეცადეთ მის გადარწმუნებას, მაგრამ საკითხი პრინციპული იყო, ამიტომ დავთანხმდით და ჩავწერეთ კონსტიტუციაშიო, ანუ ეს დღეს უკვე სხვანაირად იკითხება. გამოდის, რომ კვირიკაშვილმა „იჭიდავა“ ამ საკითხზე და მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ რაღაცის გამო დათმო ამ ჭიდაობაში. რა ფასისთვის მოხდა ეს, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ეს განცხადება გაკეთდა და ეს დღეს იკითხება ისე, რომ რაზეც ვისაუბრე, კონსტიტუციური ჩანაწერი, ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა საკითხები ანაკლიასთან დაკავშირებით – ყოვე-ლივე ამის შემკვრელი არის კვირიკაშვილი.

სამწუხარო ის არის, რომ, როგორც ჩანს, მმართველმა ძალამ ეს ყველაფერი დაუკავშირა კვირიკაშვილს, თუმცა ვერ დადგა საკუთარ ვიწრო პოლიტიკურ ინტერესზე მაღლა, ვერ გააცნობიერა ამ პროექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მოვედით დღემდე. იმედია, სამომავლოდ მაინც გვეყოლება მთავრობა, რომელიც სახელმწიფოებრივად მიუდგება ამ საკითხს. ანაკლია არ არის რომელიმე პოლიტიკური თუ ბიზნესჯგუფის პროექტი. ეს ქვეყნის მომავალს შეეხება, მისი უსაფრთხოების განმტკიცებას. ამდენად, იმედი მაქვს, რომ 2020 წლის არჩევნების შემდეგ ამ პროექტს უფრო

**ანაკლიის პორტის განხორციელება რისკს კი არ აჩენს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება“**

მძლავრი მხარდაჭერა ექნება, მომდევნო მოწვევის პარლამენტში უფრო სახელმწიფოებრივი ძალები გაჩნდება და, ერთი მხრივ, ორგანულ კანონს მიიღებენ და, მეორე მხრივ, მხარს დაუჭერენ იმ მთავრობას, რომელიც არათუ უბრალოდ მხარდამჭერი იქნება ანაკლიის პორტის, არამედ – უმთავრესი ლობისტი, მონაწილე და ა.შ.

***– ანუ თქვენ გგონიათ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ხელში ანაკლიის პროექტი სიცოცხლისუნარიანი აღარ არის?***

– იცით რა? თუ ჩემ მიერ დასახელებულ საკითხებს გავყვებით – კონსტიტუციური ჩანაწერი, ინფრასტრუქტურული პროექტების არგანხორციელება, კვირიკაშვილთან ბმა და ბოლოს „თიბისის“ სკანდალი, დავინახავთ, რომ პრობლემები ცალსახაა. ხაზარაძემ ესეც დაადასტურა, რომ ამ პროექტის განხორციელებას სერიოზული პრობლემები აქვს. შეგახსენებთ, პროექტი ერთიანი ბიუჯეტის შეკვრის ეტაპზეა და, ბუნებრივია, ეს ყველაფერი თავს იყრის და სახელმწიფოც არ აქტიურობს, რა ვალდებულებებიც ჰქონდა, ისიც კი არ შეასრულა, მაშინ ბუნებრივია, რომ ამ პროექტის განხორციელების რისკები კი არ არის, არამედ მისი განხორციელება სერიოზული რისკების წინაშე დგას. თუკი ამ პროექტმა 2020 წლამდე მიატანა თუნდაც სახელმწიფოს პასიურობის პირობებში, მაშინ მისი გააქტიურება შესაძლებელი იქნება ახალი პოლიტიკური რეალობის დროს.

***– მიატანა რას ნიშნავს? შესაძლოა, საერთოდ ჩაშალონ?***

– თუ ამაზე წავიდა... შეხედეთ, მისი ტაქტიკა ასეთია, რომ არ ეხმარება, მაგრამ პირდაპირ არც წართმევას თუ დარტყმას ცდილობს. კონსტიტუციაში ანაკლიის გარდა არის ჩანაწერი, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები შეიძლება შეიქმნას სხვა ტერიტორიაზე იმავე ორგანული კანონითა და განსაკუთრებული რეჟიმით. თუ სახელმწიფომ არ მიიღო, ერთი მხრივ, ანაკლიასთან დაკავშირებული ორგანული კანონი, მაგრამ ფოთთან დაკავშირებით მიიღო, უკვე სხვა რეალობის წინაშე ვდგებით. ბუნებრივია, ამას უყურებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ინვესტორები. ბუნებრივია, მათი ქცევაც მთავრობის ამ გადაწყვეტილების კვალობაზე დაკორექტირდება. შინაარსობრივად ანაკლიის კონკურენტი არ არის სხვა საზღვაო ლოკაცია, რადგან ჩვეულებრივი პორტი და ღრმაწყლოვანი პორტი არსობრივად განსხვავებულია. მაგრამ თვითონ სამართლებრივად და პოლიტიკურად, როდესაც მხარდაჭერა აქვს ერთ ლოკაციას და არ აქვს მეორეს, უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ხელისუფლება არ იღებს ორგანულ კანონს, ეს, ბუნებრივია, განაპირობებს ინვესტორის ქცევასაც და საბოლოოდ იდეისა და პროექტის დისკრედიტაციასაც ხელს შეუწყობს.

იმედი მაქვს, მთავრობა თუ არ გააქტიურდება, დამაზიანებელ გადაწყვეტილებებს მაინც არ მიიღებს.

***– თუ მთავრობამ ხელი შეუშალა არა მხოლოდ ასეთი პროექტების მიმართ, არამედ ზოგადად ინვესტიციების კუთხითაც ხომ არ აჩენს რისკს? ვგულისხმობ იმას, რომ თუ ხელისუფლების ასეთ ქმედებას დაინახავს ინვესტორი, ხომ არ გაუჭირდება მას ინვესტიციების გაბედულად ჩადება?***

– ანაკლიის განხილვა კონკრეტული ბიზნესჯგუფის კონტექსტში სწორი არ არის. ორივე საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა უსაფრთხოების თვალსაზრისით. „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით საუბარია ინსტიტუციურ უსაფრთხოებაზე. მხედველობაში მაქვს ბიზნესთან დამოკიდებულება. პროცესში ჩართულია ეროვნული ბანკი, ბუნებრივია, სასამართლოც ჩარეულია, რადგან დავებს სასამართლო განიხილავს. თუკი პოლიტიკურად ლოიალურ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ სასამართლოც აღმოჩნდება და, ამასთანავე, ლონდონის ბირჟაზე გასული ბიზნესი. ბუნებრივია, ფინანსურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენას იქონიებს მხოლოდ თიბისის კომპონენტი. რაც შეეხება ანაკლიის კომპონენტს, აქ გეოპოლიტიკაც შემოდის და მას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, ასევე – ეკონომიკური გავლენაც. მხედველობაში მაქვს ინვესტორთა ქცევა, თავისთავად ბიზნესის განვითარება და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ორივე თემა, თიბისიც და ანაკლიაც, უსაფრთხოების ჭრილში განსახილველი საკითხია.

***– გეოპოლიტიკურ ინტერესებზე როცა ვსაუბრობთ, ცნობილია, რომ ანაკლიის პორტის განხორციელება არ აწყობს რუსეთს. ასეც ხომ არ შეიძლება გავიგოთ მთავრობის მოქმედება, მით უმეტეს „ოცნებას“ გარკვეული ძალები რუსეთის ინტერესების გატარებაში ადანაშაულებენ.***

– ასე ერთმნიშვნელოვნად ძალიან გამარტივებულად მსჯელობა, რომ რადგან ზღვაა, ღრმაწყლოვანია, ტვირთების გადაზიდვები მოხდება, ამიტომ ეს რუსეთს დაარტყამს, არა მგონია, მართებული იყოს. არის ერთ-ერთი საკითხი, მაგრამ არა გადამწყვეტი რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ანუ მისთვის პრობლემის შემქმნელი არის თუ არა, უფრო მეტად საქართველოს მნიშვნელობის გასაზრდელია. თბილისი-ბაქო-ჯეიჰანსაც ადარებენ ხოლმე და სამართლიანადაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორი მოთამაშეა რუსეთი და დღეს რა მდგომარეობაშია. გახსოვთ, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი და კონსტიტუციის მიღების პროცესი მიდიოდა, როდესაც აათეთქეს შევარდნაძე, ანუ რუსეთის ქმედებას ვუსვამ ხაზს, რომელსაც მარტივად შეუძლია, ინვესტორების ქცევაზე მოახდინოს გავლენა. პუტინის რეჟიმი განვითარებული სამყაროს წინააღმდეგ არის წასული. ამდენად, ასე მარტივად ვერ ვიმსჯელებ ამ საკითხზე.

***– რუსეთი რასაც წარმოადგენს, ცნობილია, მაგრამ მე გეკითხებით ჩვენს ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის მიმართულებით.***

– ანაკლიის გამო ხელისუფლებაზე რომ გავლენა მოახდინოს, ეს ერთ-ერთი და არა ერთადერთია. რუსეთისთვის ასეთ საკითხებზე მთავარია არა რომელიმე, მხოლოდ ერთი სტრატეგიის არჩევა – მთავრობაზე ზეწოლა. მთავრობაზე ზეწოლა მისთვის ერთ-ერთია და არა ერთადერთი. აღვნიშნე, რომ მთავრობაზე ზეწოლის გარეშე მარტივად შეიძლება მოახერხოს, თუკი, მაგალითად, თავისი ფლოტის რაღაც ნაწილს განათავსებს შავი ზღვის აუზში, იქნება ეს აფხაზეთის მხრიდან თუ სხვა. მაგალითს ვამბობ, ან, ვთქვათ, დაარღვიოს ტერიტორიული მთლიანობა მაგ ნაწილში, ან საჰაერო სივრცე. ბევრი რაღაც აქვს, რაც არაცივილიზებულია და თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება. შესაბამისად, ანაკლიის მხოლოდ ამ კონტექსტში განხილვა სწორი არ არის, თუმცა ერთ-ერთი ნაბიჯი ესეც შეიძლება იყოს და მე ამას არ გამოვრიცხავ.

***– მოიყვანეთ ირაკლი კობახიძის ციტატა. ეს ნიშნავდა, რომ იყო ივანიშვილისა და კვირიკაშვილის ინტერესების ჭიდილი თუ ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ივანიშვილის ინტერესები უპირისპირდებოდა სახელმწიფო ინტერესებს?***

– ეს ის პერიოდია, რაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა კვირიკაშვილის გაშვების პერიოდში, როგორც ჩანს, შიგნითაც უკვე იყო პრობლემები, ეს შემდგომ ივანიშვილმაც განაცხადა. როდესაც ვსაუბრობდი კონსტიტუციურ ჩანაწერზე, მხედველობაში მქონდა მისი მიმღებნი, როგორებიც არის პარლამენტი და მთავრობა. თუკი განვიხილავთ, რომ უმრავლესობის უკან პარტია დგას... ამ კონტექსტში არ განმიხილავს. ბუნებრივია, ამ პროცესში თავმჯდომარეც ჩართული იქნებოდა და ეს ჭიდილი, კვირიკაშვილის პრინციპული მოთხოვნა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, ბუნებრივია, შესაძლოა იყო, შიდაპარტიული დაპირისპირების საგანიც გამხდარიყო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ანაკლიის პორტმა, შესაძლოა, ქალაქი ფოთი საერთოდ გააქროს“

## „რატომ გაახსენდათ ახლა თიბისი ბანკის 11 წლის წინანდელი საქმე, ინვესტიციების შემოდინების საბოტაჟი ხომ არ არის აქ?“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***— ბატონო გია, თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე თქვენი პოზიცია როგორია, თქვენ რა კითხვები გაქვთ?***

— ბევრი კითხვა მაქვს პროცესთან დაკავშირებით. საქმის დეტალებში ვერ შევალ, მაგრამ ფულის გათეთრების კვალიფიკაცია ვერ გავიგე, რას ნიშნავდა. ხომ არ დასჭირდა ვიღაცას, რომ საქმის ხანდაზმულობის ვადის პრობლემა გადაეწყვიტა ამ ბრალდებით?!

ბევრი კითხვა მაქვს, მათ შორის ერთ-ერთი: სადაც 11 წელი ეს საქმე არავის ახსოვდა, ერთი ორი-სამი თვე კიდევ რომ დაეცადათ – არა?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპია ანაკლიის ღრმაწყლოვან პროექტთან დაკავშირებით. ახლა არის წინასახელშეკრულებო დრო და ამიტომ ვსაუბრობ ამაზე. ამ პროექტს დაფინანსება უნდა მოჰყვეს, მილიონებზეა საუბარი.

მინიმუმ სახელმწიფოებრივად სწორი იქნებოდა, რომ სანამ ხელშეკრულებები არ გაფორმდებოდა, 11 წლის წინ მომხდარ ამბავზე არ უნდა დაწყებულიყო მთელი ეს ამბავი. ეს ყველაფერი კითხვებს მიჩენს. ამ ინვესტიციების შემოდინების საბოტაჟი ხომ არ არის, ამისთვის ხომ არ არის დაჩქარებული?!

***— ვისი მხრიდან?***

— მე სპეკულირებას ვერ დავიწყებ. არიან ინტერესჯგუფები, რომელთა საცეცები სახელმწიფო ინსტიტუტებს შიგნით მეტასტაზებივით არის მოდებული. მათ შეეძლოთ, ეს გაეკეთებინათ და ხელისუფლებაც ჩაეთრიათ, ან შეცდომაში შეეყვანათ, ან დაერწმუნებინათ, რომ ასე აჯობებს. არ ვიცი, რასთან გვაქვს საქმე.

ფულის გათეთრების დამტკიცება ძალიან გაუჭირდება ბრალდების მხარეს, ხოლო ეს ბრალდება თუ ჩაიხსნა, მაშინ, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, საქმე ისედაც უნდა დაიხუროს. ყოველწლიურად ბანკში საერთაშორისო აუდიტი ტარდება და გასაგებია, რომ იქ ფულის გათეთრებაზე საუბარი შეუძლებელია

***— ხშირად ანაკლიის პორტის მნიშვნელობას პარალელს ავლებენ ბაქო-ჯეიჰანის პროექტთან.***

— მე ამ პროექტის მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი ყოველთვის მქონდა და ეს არასდროს დამიმალავს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს პროექტი სერიოზულ რისკებს შეიცავს. ფიზიკურად ამ რაოდენობის ტვირთების მოზიდვა და შემდეგ გატარება თეორიულადაც კი შეუძლებელია. ამ პორტის განვითარებას შეიძლება ქალაქი ფოთი შეეწიროს. ჩვენ რომც განვავითაროთ მთელი ინფრასტრუქტურა, ავაშენოთ პორტი ანაკლიაში, აზერბაიჯანი ვერ გაატარებს.

კი ბატონო, შეიძლება, ეს პროექტი იყოს წარმატებული, მაგრამ რის ხარჯზე?! ორი პორტი გვაქვს – ბათუმისა და ფოთის. ამას მესამე პორტი რომ დაემატება, იმ ორს რა მოუვა?! ანაკლიის ამოქმედების შემდეგ მე ფოთთან დაკავშირებით სერიოზულ რისკებს ვხედავ. ქალაქი ფოთი შეიძლება საერთოდ გაქრეს.

***— ჩვენ ღრმაწყლოვანი პორტი ხომ არ გვაქვს. ანაკლიაში სწორედ ასეთი პორტი აშენდება.***

— ტვირთების გადანაწილება მოხდება. ფოთის პორტის გაკოტრების საფრთხეზე ვსაუბრობ. ეს მაინც კომერციული პროექტია. მე დეტალებში არ შევალ, მით უფრო ახლა, როდესაც ასე დრამატულად ვითარდება პროცესები.

თვითონ პროექტისადმი სკეპტიკურად ვარ განწყობილი და არ ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოებრივად აუცილებელი პროექტი იყო და მისი განხორციელება განსაკუთრებულ სიკეთეს მოგვიტანს.

***— რატომ, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით? ფრთხილობთ?***

— არა, რუსეთი რა შუაშია. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ რაღაცა რაღაცის ხარჯზე ვითარდება და რომ პროექტი რისკების შემცველია.

***— ბატონო გია, ამერიკულ მხარეზე უნდა გკითხოთ. ეკონომიკის მინისტრმა ქობულიამ განაცხადა, რომ ეს პროექტი ერთ პიროვნებაზე არ დგას, ხაზარაძეზე მიანიშნა და მან კონსორციუმზე ისაუბრა. თუ ტვირთებს ვერ გაატარებს ეს პორტი, ამერიკული მხარე ხომ შეისწავლიდა, ისე ხომ არ ჩადებს ფულს?***

— სწორედ ეს საქმე, რომ ჯერ ეს პროექტი არ არის ხელმოწერილი. ეს ყველაფერი ახლა იწყება. მე ამიტომ მიჩნდება კითხვები, მაინცდამაინც ახლა რატომ ედავებიან ბანკს ფულის გათეთრებას?! ასეთ პარტნიორს ვინ ენდობა და ვინ ჩადებს მილიონებს პროექტში, რომლის პარტნიორიც, სიტყვაზე რომ ვთქვათ, ფულს ათეთრებს?! ამაზე ხომ უნდა დაფიქრებულიყო ვიღაც?! რატომ ახლა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა!

როდესაც ეკონომიკის მინისტრი ამბობს, რომ ეს ყველაფერი რეპუტაციულ დარტყმას არ მიაყენებს ბანკს და ინვესტორებს არ დააფრთხობს, ეს ნიშნავს, რომ ან თავად არის ბრიყვი, ან ჩვენ ვგონივართ ბრიყვები. ის ცდილობს, ამაში დაგვარწმუნოს.

***— თქვენ კითხულობთ, რატომ ახლა. და ვის აწყობდა, როგორ ფიქრობთ?***

— არ მინდა სპეკულაციები და ვერსიების დონეზე საუბარი. ყველაზე კარგად ვინც იცის, მან უნდა ილაპარაკოს.

***— ვისზე მიანიშნებთ?***

— ხაზარაძესა და ჯაფარიძეზე. რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით საკმაოდ ღირსეულად გამოიყურებიან.

***— უფრო მეტი უნდა ილაპარაკონ?***

— საკმარისი ილაპარაკეს ამ ეტაპზე. გასაგებია, რომ უფრო მეტი აქვთ სათქმელი, მაგრამ ბევრი რამის გამო თავს იკავებენ და ალბათ ასეც ჯობია. დამატებითი ხმაური და პოლიტიზება კიდევ უფრო დაამძიმებს ვითარებას. თუმცა, პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე, ამას ალტერნატივა არ აქვს.

მისასალმებელია, რომ ხაზარაძე მზად არის, მესამე მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია. დიახ, ისინი უნდა მივიდნენ პარლამენტში და ისაუბრონ. ეს ყველაფერი კარგია. რატომაც არა.

# რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ ზვიად კუპრავას დაკავება

შორენა მარსაგიშვილი

**სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა კიდევ ერთხელ გახდა ხელისუფლების სამიზნე. დღეს, 20 თებერვლის 12 საათამდე თუ ის პოლიციაში არ გამოცხადდა, შესაძლოა, კიდევ ერთხელ დააკავონ.**

მისი დაკავება შეიძლება 12 საათამდე მოხდეს.

ზვიად კუპრავა საოცნებო ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის და ამიტომაც უწევს ასე ხშირ-ხშირად საპატიმროში წასვლა. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა.

კუპრავა ვარაუდობს, რომ „ოცნებას“ მისი განეიტრალება სურს.

მას ბრალი ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის ცემის გამო წაუყენეს. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი კი ამბობს, რომ მას არავინ უცემია.

— ვაკე-საბურთალოს სამმართველოდან დამირეკა გამომძიებელმა და დაკითხვაზე დამიბარა. ჩემ წინააღმდეგ სუსის აგენტ-პროვოკატორ ირაკლი ზაქარეიშვილს დააწერინეს საჩივარი არარსებულ ცემაზე.

ამ საქმეს, ცხადია, არავითარი კავშირი არ აქვს სამართალთან და კანონთან, მთლიანად არის პოლიტიკური პროცესი.

მათი მიზანია, გირაო, რომელიც მაქვს შეფარდებული ,,სხვისი თეფშიდან ჭამის“ საქმეზე, შეიცვალოს სხვა აღკვეთის ღონისძიებით, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავა.



კუპრავა პოლიციის სამმართველოში 12 საათამდე უნდა გამოცხადდეს. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ მას ქვეყნიდან გასაქცევად დრო მისცეს.

— მე არსად გაქცევას არ ვაპირებ, ვრჩები საქართველოში და ვაგრძელებ ბრძოლას, — ამბობს ის.

ზვიად კუპრავა რომ კანონმორჩილი ადამიანია, ამას მამალი ქოცებიც კი აღიარებენ. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი არასდროს გაურბოდა დაკითხვებზე სიარულს.

ამჯერად მან ტრადიციის დარღვევა გადაწყვიტა. ის დაკითხვაზე არ მიდის, რადგანაც მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან.

ის ხელისუფლების ამ ნაბიჯს პოლიტიკურადვე პასუხობს.

— ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება. შესაბამისად, მე არ ვაპირებ, გამოვცხადდე პოლიციის სამმართველოში პოლიტიკურ დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად. ამავდროულად, არ ვაპირებ არსად დამალვას და დილიდან გამომძიებლებს ველოდები ვაკეში, გაერთიანებული ოპოზიციის შტაბში პოლიტიკური კითხვებისთვის პასუხის გასაცემად, — აღნიშნავს კუპრავა.

გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში ღამის გათევის გადაწყვეტილება მან გამომძიებელთან საუბრის შემდეგ მიიღო.

— მე დავრჩები ოფისში. სახლში წასვლის შემთხვევაში, შეიძლება, პროვოკაცია მომიწყონ ან დამაკავონ, — განაცხადა კუპრავამ გუშინ, 19 თებერვალს.

რაც შეეხება ბრალდებას, „ახალ თაობასთან“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მას არავინ უცემია.

— ირაკლი ზაქარეიშვილს ვიცნობდი, სოციალურ ქსელში მეგობრები ვიყავით. მერე მან პოზიციები შეიცვალა. დღეს ის მეგობრებშიც აღარ მყავს და საერთოდ არანაირი ურთიერთობა არ მაქვს მასთან, არსად შემხვედრია და არც მიცემია, — აღნიშნავს ოპოზიციონერი.

ზვიად კუპრავა უკვე დიდი ხანია, იქცა „ქართული ოცნების“ თავისტკივილად. ხორავას ქუჩის საქმეზე მან არაერთი სკანდალური ფაქტი გაასაჯაროვა, რითიც ხელისუფლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ის აქტიურად მონაწილეობდა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებში, რომელიც გიორგი კვირიკაშვილის გადადგომით დასრულდა.

ზვიად კუპრავა ამ აქციების მიმდინარეობის დროსაც დააკავეს, თავისუფლებაზე გამოსვლიდან ცოტა ხანში ახალი სიურპრიზი მოუწყვეს და „სხვისი თეფშიდან ჭამის“ გამო ბრალი წაუყენეს.

პროკურატურამ და სასამართლომ ჩათვალეს, რომ კუპრავამ ამ ქმედებით ქართული თემიდა შეურაცხყო. ამ შეურაცხყოფის გამო მას გირაო აქვს შეფარდებული.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასაც სერიოზულად უშლიდა ნერვებს. მან არაერთხელ ამხილა გახარიას წინამორბედი გიორგი მღებრიშვილიც.

ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ მაშინ, როცა ის ხორავას ქუჩის საქმეზე აქტიურობდა, მასზე თავდასხმა განხორციელდა. კუპრავას მაშინ დაესხნენ თავს, როცა ის მეუღლესთან და მცირეწლოვან ბავშვთან ერთად სადარბაზოში შევიდა.

კუპრავას ყოფილი დეპუტატი ბორის კაკუბავაც ემუქრებოდა ანგარიშსწორებით. ბორის კაკუბავა მირზა სუბელიანის სიმამრია, სუბელიანის შვილი და ცოლის დისშვილი კი ხორავას ქუჩის საქმეში ფიგურირებენ.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი იყო პირველი, ვინც თქვა, რომ მირზა სუბელიანი ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებით აშანტაჟებდა.

„ოცნების“ თავისტკივილს კიდევ არაერთი სკანდალური ფაქტი აქვს გასაჯაროებული. მან საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ერთ-ერთ მიყრუებულ სტამბაში დამატებითი ბიულეტენები აღმოაჩინა.

ყველაზე ხმაურიანი კი მისი ბოლო აღმოჩენა გამოდგა. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა, თანამოაზრეებთან ერთად, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში კანაფის პლანტაცია აღმოაჩინა.

## თორნიკე მამალაძე: „ჩემი ძმის ნამდვილ დიაგნოზს არ მეუბნებიან, ამიტომ, შესაძლოა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი მოვიწვიო“

— ხუთი დღეა, ჩემი ძმის ნამდვილ დიაგნოზს არ მეუბნებიან, ამიტომ, შესაძლოა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი მოვიწვიო.

ამის შესახებ მსჯავრდებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის ძმამ, თორნიკე მამალაძემ განაცხადა.

მამალაძე ღუდუშაურის კლინიკაში იმყოფებოდა ძმის მოსანახულებლად და ექიმებთან სასაუბროდ. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მან აღნიშნა, რომ გიორგი მამალაძის მდგომარეობა წინა დღეებთან შედარებით მძიმეა და იმის გამო, რომ დეკანოზის დიაგნოზი არ ხდება ცნობილი, ის დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის ჩართვას აპირებს.

— მე და ჩემმა ძმამ ვისაუბრეთ პირველ რიგში მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ არ მიდის. გუშინ ნორმალურად იყო, დღეს კი ძალიან სუსტადაა. არც მან იცის, რა დიაგნოზი აქვს, ვერც მე მივიღე პასუხი. უკვე 5 დღეა, იკვლევენ და ვერ გამოიკვლიეს. ეჭვი მიჩნდება, რომ ან მიმალავენ, ან სპეციალურად ცდილობენ ამას, რადგან არ უნდათ ჩემი ძმის მდგომარეობაზე სიმართლის თქმა. მთავრობას არ სურს, საზოგადოებას მოახსენოს ის, რაც ჩემს ძმას დამართეს. ექიმმა პასუხი ვერ გამცა კითხვაზე, რომ თუ ინსულტი არ ჰქონია, რატომაა ჩემი ძმა პარალიზებული. ადამიანები, რომლებიც მასთან შედიან, მათ შორის სახალხო დამცველი, ამბობენ, რომ ის მძიმედაა. ამიტომ, შესაძლებელია, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი მოვიწვიო, რომელსაც ჩავრთავ ამ საქმეში. დღეს ოჯახთან კონსულტაციას გავივლი და, სავარაუდოდ, ექსპერტის ჩართვა ხვალიდან უკვე შესაძლებელი იქნება, — განაცხადა მამალაძემ.

# აკაკი ასათიანი: „ივანიშვილი თავის პარტიაშიც ველარ არის მყარად“

## „საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხმა პირველ ტურში მოუგო როგორც „ოცნებას“, ისე ნაცებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი პასუხობს.**

***– ბატონო აკაკი, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პროცესებს?***

– ივანიშვილი ცდილობს, ვითარება გამოასწოროს, ოღონდ მას როგორც წარმოუდგენია ისე.

***– ანუ?***

– ის წინააღმდეგობაში მოდის არსებულ შესაძლებლობებთან და, საერთოდ, განწყობებთან. მისი სურვილია, რომ სასამართლო იყოს კონტროლირებადი. ის თვლის, რომ ერთხელ რაკი გადახტნენ ეს მოსამართლეები ნაცებისგან მისკენ, ამ ხალხს სხვაგან წასასვლელი გზა არ ექნებათ და იქნებიან მისი ყურმოჭრილი მონები. შეიძლება ამაში მართალიც იყოს, ოღონდ ერთი პრობლემაა...

***– რა პრობლემა?***

– მე არა მგონია, მაგრამ ნაცები რომ დაბრუნდნენ, ზუსტად იგივე მოსამართლეები მასაც გაასამართლებენ, ნებისმიერ სასჯელს მიუსჯიან. ის ცუდად იცნობს ამ მოსამართლეებს.

ბანკს რაც შეეხება, მე არ ვიცი, რა პრობლემაა ივანიშვილს, ხაზარაძესა და ჯაფარიძეს შორის, მაგრამ პერსონალური პრობლემა უფროა, ვიდრე სისტემური ხასიათის.

***– მამუკა ხაზარაძემ წერილი მიწერა თანამშრომლებს, სადაც ის ღია დაპირისპირებაზე საუბრობს ხელისუფლებასთან. ამაზე რას იტყვით?***

– ეს წერილი ცოტა კომიკურია. იამაიკის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის წარმოთქმულ სიტყვებს უფრო შეეფერება, ვიდრე ბანკირს, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, არ დავთმობთ თავისუფლებას, მე ეჭვი მეპარება, რომ ეს ხაზარაძის დაწერილი იყოს. ისეთი უცნაური პათეტიკაა, რომ არ უხდება ბანკირს, ბანკებს და ბანკის თანამშრომლებს.

***– რისი თქმა გინდათ, რომ ხაზარაძის დაწერილი არ არის?***



– ამ წერილს რომ წაიკითხავთ, იფიქრებთ, რომ გადიან ტყეში პარტიზანებად. ეს ცოტა სასაცილო ამბავია. თუ მათი დაწერილია, ეს მათი სტილი არ არის. მე ვიცნობ მათ სტილს, ჯობია, ამას თავი დაანებონ და სხვანაირად იბრძოლონ.

***– რა არის ის, რაც ზედაპირზე არ ჩანს? არის ამის მიზეზი ანაკლია?***

– თუ ანაკლიაზეა ლაპარაკი, მე პირადად ვამჯობინებდი, რომ სახელმწიფო იყოს იქ მთავარი და არა – კერძო სტრუქტურა საქართველოს მხრიდან.

ბანკისთვის ეგ არაპროფილური ბიზნესია, ისევე, როგორც სადაზღვევო ბიზნესი და სხვა. თუმცა ამაზე ლაპარაკი არ მიდის, პერსონალურად ხაზარაძეზე და ჯაფარიძეზეა ყურადღება გამახვილებული. ანუ გვეუბნებიან, ეს ორი კაცი თუ მოშორდება ამ საქმეს, ყველაფერი იქნება ოქროსავით.

***– რას ერჩიან ხაზარაძეს და ჯაფარიძეს?***

– მე მგონია, რომ ბიძინას ეჭვები გაუჩნდა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ამბიციები არ გამოემჟღავნებინა 2020 წლისთვის ხაზარაძეს.

***– ითქვა ისიც, რომ ოპოზიციის დაფინანსებას აპირებდა.***

– მეეჭვება, ვინმე დააფინანსოს, ეგ უფრო მოიქცეოდა ისე, როგორც ბიძინა, თავის გარშემო შემოიკრებდა პოლიტიკურ პარტიებს. თუმცა ეს არ არის დადასტურებული, ეს მხოლოდ ვარაუდებია.

***– ოპოზიციაც აქტიურად უჭერს მხარს ხაზარაძეს, ესეც საყურადღებო დეტალია.***

– ზუსტად ეს ოპოზიცია სულ ცოტა ხნით ადრე თავზე ამხობდა ყველაფერს ხაზარაძეს და ახლა გამოიდეს თავები. ძალიან კომიკურია ეს ყველაფერი. ეს ერთი დიდი კარუსელია. ამიტომ მე მგონია, აქ უფრო პერსონალური პრობლემაა, ეს ჩანს აშკარად, ხოლო რამ წარმოშვა ეს პრობლემა, ძნელი სათქმელია. მათ პირად ურთიერთობებში ჩახედული არ ვარ.

***– დღეს ძალიან უჭირს მმართველ გუნდს და უკვე ღიად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ეკა ბესელია და მისი მომხრეები ოპოზიციაში გადავიდნენ. ამაზე რას იტყვით, იშლება უმრავლესობა?***

– ამ ადამიანებს პოლიტიკური ბიოგრაფია აქვთ, განსხვავებით იმ ახალგაზრდა ჯგუფისგან, რომელიც არაფერს არ ემყარება, მხოლოდ ივანიშვილის კეთილ ნებაზეა. ლევან გოგიჩაიშვილი და ეკა ბესელია ყველას ახსოვს, როგორ მწვავედ უპირისპირდებოდნენ ნაციონალურ მოძრაობას. საკმაოდ სერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებენ კობერიძე, ფოფხაძეც. ალარაფერს ვამბობ ჭიჭინაძეზე, რომელიც მანამდე გავიდა. ის ზოგადად თავისუფალი ადამიანია და მბრძანებლობას ვერ იტანს.

იქ ბიძინა გეგიძეა, პაპუაშვილი, რომლებიც არ არიან დაპირისპირებული „ოცნებასთან“, მაგრამ ამ ხალხს თავისი მოსაზრებები აქვთ და თავისი სიტყვა ეთქმით, რაღაცას ნამდვილად წარმოადგენენ. თავისი ბიოგრაფია აქვთ და წარმატებულები არიან. ეს ხალხი, პრინციპში, უკვე ოპოზიციაა, აბა რა არიან?!

აქ მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ივანიშვილი არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თავის პარტიაშიც ველარ არის მყარად. უკვე შვიდჯერ მაინც შეიკრიბნენ და არაფერი. წინათ გარიცხავდნენ, დატუქსავდნენ, მკაცრ განცხადებებს გააკეთებდნენ, ახლა კი სულ ასე ლივლივებს ეს პრობლემა. გადამწყვეტ ნაბიჯებს ვერ დგამენ.

***– რატომ, მთავარი ფიგურა აღარ არის ივანიშვილი? გუნდშიც შეერყა პოზიციები?***

– საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური იყო მთავარი, სწორედ იქ გამოჩნდა, რა მდგომარეობაც არის. ივანიშვილის მიმართვამაც გამოაჩინა, რომ ის მიხვდა. დანარჩენები „ოცნებიდან“ ვერ მიხვდნენ, რომ ქართველი ხალხი მართლა ევროპული სტილის ხალხია.

ამ ხალხმა გაათავისუფლა ეს ქვეყანა, ამ ხალხმა გაუშვა შევარდნაძე, სააკაშვილმა დაიბრალა, მაგრამ ეს ამ ხალხის დამსახურება იყო, სწორედ ამ ხალხმა კოლექტიურად გაუშვა ნაციონალური მოძრაობა მშვიდობიანად ხელისუფლებიდან. მეტი რა ქნას ამ ხალხმა? სწორედ ამ ხალხმა აიღო და პირველ ტურში მოუგო როგორც „ოცნებას“, ისე ნაცებს, თითქოს პროცენტულად ჰქონდა ხალხს ყველაფერი დათვლილი და ორივეს ჭკუა ასწავლა.

„ოცნებას“ უთხრა, ჭკუაზე მოდიო. მეორე ტურში კი დაადასტურა, რომ მას სულაც არ ენატრება ნაციონალები. პირველი და მეორე ტური იყო წინააღმდეგ მიცემული ხმები. პირველად „ოცნების“ წინააღმდეგ, მეორედ – ნაცების. ოღონდ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ეს ამბავი ჯერჯერობით ვერ გაიგო.

***– ივანიშვილმა იმის პირობაც დადო, რომ ერთ წელში სრულიად შეცვლის სიტუაციას, მაგრამ ეს არ გამოდის.***

– ეტყობა, ეს შიდა ბრძოლებიც მაგას უკავშირდება მის შტაბში, თუმცა ეს ის არ არის, რისი მოლოდინიც ხალხს აქვს. ჩვენ ვუყურებთ, რომ ნაცები და „ოცნება“ დაიღალნენ ერთმანეთთან ბრძოლით, კრივს ჰგავს ეს ყველაფერი, უკვე ისე დაბეგვეს ერთმანეთი, რომ ველარც იბრძვიან.

ორივეს შიდა ბრძოლები აქვს. ნაცებშიც არის შიდა ბრძოლები. ეს აშკარად ჩანს, რაც უნდა დამალონ მათ. ორივე ძალა გადასულია შიდა „რაზბორკებზე,“ მეტის უნარი მათ აღარ შერჩათ.

***– საბოლოოდ რას მივიღებთ 2020-სთვის? როგორი სურათი გვექნება?***

– 2020-მდე არ დასჭირდება ცდა, ეს პროცესი ამ წელს ჩამოყალიბდება. ამბობენ ხოლმე, არ ჩანს ალტერნატივაო, თუმცა უცებ ქარბორბალასავით მოწმენდილ ცაზე რაღაცა აგორდება და დაამთავრებს ხოლმე ხელისუფლებას.

რაღაც ამდაგვარს ველოდები ახლაც.

# შალვა ხაჭაპურიძე: „პედოფილიის მოტივი სექსუალური ლტოლვაა“

ლელა მდივანი



**საქართველოს მასშტაბით ბოლო პერიოდში არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სტატისტიკა მზარდია და ამ პრობლემასთან გასამკლავებლად კანონიც გამკაცრდება.**

შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, აღნიშნული კანონი ამ დანაშაულის ჩამდენ პირებს მთელ რიგ უფლებებს ართმევს და პოლიციას ავალდებულებს, მონიტორინგი დააწესოს პედოფილებზე მას შემდეგ, რაც ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებას დატოვებენ.

თუ რატომ გახშირდა პედოფილიის შემთხვევები და რამდენად ეფექტური იქნება ამ კანონის ამოქმედება პედოფილიის ფაქტების აღმოსაფხვრელად? – ამაზე „ახალ თაობას“ ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა.

***– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოიმატა პედოფილიის შემთხვევებმა. რამ განაპირობა ეს?***

– ეს არის დანაშაულის ერთგვარი სახეობა. მე არ მგონია, რომ ამის სტატისტიკა მზარდია. ალბათ ეს ციფრები არსებობდა საქართველოში, უბრალოდ, არ ხმაურდებოდა სატელევიზიო პიარის კუთხით.

ადრე ალბათ ოჯახებიც მალავდნენ ამას, მაგრამ დამალვაზე მეტად მთელი ოჯახისთვის ეს ფაქტი ყურადღების მიღმა რჩებოდა. ამაზე არ მახვილდებოდა სერიოზული ყურადღება, იმიტომ რომ იქ ძალიან ფაქიზი ზღვარია დანაშაულსა და უდანაშაულობას შორის, ამიტომ ზუსტი განსაზღვრება, ქმედების კვალიფიცირება საკმაოდ რთულია და კარგი ცოდნა სჭირდება.

არც კი გვაქვს საკანონმდებლო ბაზა. ერთადერთი, რაც გვაქვს, არის სისხლის სამართლის კოდექსში ჩანაწერი. როგორც ჩანს, კანონის აღმასრულებლებმა და პოლიციამ ახლა უფრო მიაქციეს ყურადღება, შესაბამისად, საზოგადოების ყურადღებაც უფრო მეტად გამახვილდა.

აქ არის მთელი რიგი მტკიცებულებები. ფსიქოლოგების გამოკითხვა, დაკითხვა, რამდენ საქმეშიც მიგვიღია მონაწილეობა სერიოზული ხარვეზია მტკიცებულების კუთხით თავად პროკურატურის მხრიდან, ანუ მთელი რიგი პროცესუალური ნორმებია. ძალიან კარგია, რომ წამოიწია ამ თემამ.

***– პედოფილიის მოტივი რა არის ხოლმე? აი, მამამ რომ შვილზე იძალადა, მეზობლები ამბობდნენ, ამით დასაჯა, რადგან შეყვარებულთან ერთად გაპარვას აპირებდაო.***

– შესწავლილი მაქვს ამ ტიპის საქმეების გარკვეული პრაქტიკა და უფრო მეტად სექსუალური ტიპის ქმედება და ინტერესიარ წინ წამოწეული. ავადმყოფობა არის თუ არა, ამას ვერ შევაფასებ, თუმცა, როგორც იურისტი, ვიტყვი, რომ ამ პრაქტიკიდან გამოჩნდა, მოტივი უფრო სექსუალური ტიპის ლტოლვაა.

***– სპეციალისტები ამბობენ, რომ პედოფილია სექსუალური ფუნქციის დარღვევაა, რომელიც ვლინდება სექსუალური ლტოლვით ბავშვების მიმართ და ეს არის ძალადობაც. პედოფილია დასჯადი უნდა იყოს თუ განკურნებადი, თუ ორივე ერთად?***

– შეიძლება, დაავადებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ძალადობასთან არის დაკავშირებული. ძალადობამდე მივყავართ, იმიტომ, რომ უმეტესი შემთხვევა, რა პრაქტიკაც გავაანალიზე, არის ძალადობით ჩადენილი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ დასჯადი უნდა იყოს და, ამასთან, ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს სათანადო მკურნალობა, ფსიქოლოგები და დარგის სპეციალისტები, იმიტომ, რომ ავადმყოფობა არის თუ არა, სახეზე შედეგად ვიღებთ ძალადობის მსხვერპლს. ძალადობა კი დანაშაულთან არის კავშირში.

***– ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა, რომ პედოფილიის ფაქტებზე კანონი გამკაცრდება და პოლიციას დაეკისრება ვალდებულება, მონიტორინგი დააწესოს პედოფილებზე მას შემდეგ, რაც ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებას დატოვებენ. რამდენად გამოიღებს ეს შედეგს?***

– საერთოდ, სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი დამნაშავის კონტროლზე აყვანა, გარკვეულწილად, ეფექტს მოგვცემს, ცხადია, იმდენად არ აღმოფხვრის, მაგრამ, დამნაშავე რომ ხედავს, ამ ფაქტებზე მკაცრი კონტროლია დაწესებული, პრევენციის მიზნით, დიახაც, გამართლებულია და ვემხრობი ამ ინიციატივის განხორციელებასა და მეზვრიშვილის ამ პოზიციას. თუმცა, ამასთან, ვფიქრობ, რომ სხვა ღონისძიებებიც უნდა გატარდეს.

# ძლიერმა ქარმა სამ დღეში 87 ხე, 62 შენობის სახურავი და 32 მანქანა დააზიანა




ძლიერი ქარის გამო 16 თებერვლიდან 19 თებერვლის 12:00 საათამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 261 შეტყობინება შევიდა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ყველაზე მეტი, 200 შეტყობინება თბილისიდან დაფიქსირდა.

ქარმა ქვეყნის მასშტაბით დააზიანა: 87 ხე; 62 შენობის სახურავი; 32 ავტომანქანა; ბუნებრივი აირის 8 მილი; მაღალი ძაბვის 8 ელექტროსადენი; 4 სარეკლამო ბილბორდი.

– ყველა შემთხვევაზე შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინეს დროული რეაგირება. ძლიერი ქარისგან შექმნილი პრობლემების გამო არავინ დაშავებულა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები უამინდობის გამო მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე არიან გადასული, რათა საფრთხე არ შეექმნათ მოქალაქეებს, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

კომერსანტი

შორენა მარსაგიშვილი

# „ოცნებას“ პატრიარქი და საპატრიარქო „პლენში“ ჰყავს აყვანილი“

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილი სასულიერო პირებზე კომპრომატებს აგროვებს და მათი დახმარებით ეკლესიას აშანტაჟებს“

**რა ხდება საპატრიარქოში, ვის სახელს უკავშირდება საეკლესიო სკანდალი, ვის შემოაქვს საქართველოში კანაფის თესლი, გახდება თუ არა საქართველო ნარკოკარტელი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

**მეგი გოცირიძე:**

– საქართველოში წარმოუდგენელი ამბები ხდება, საითაც არ უნდა წახვიდე, ყველა სფეროში საცობია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხელისუფლება მარტო იმიტომ არის გასასამართლებელი, რასაც ქართულ ჯარს უკეთებს. მაშინ როცა ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და რუსები ხაშურამდე არიან ჩამოსული, ასეთ დროს ქართულ ჯარს საკვები და ფეხსაცმელი არ აქვს. ეს არის პირდაპირ სამშობლოს ღალატი. ამისთვის ივანიშვილი და მისი ხროვა უნდა გასამართლდნენ.

იმისათვის, რომ ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა თვალშისაცემი არ იყოს, რაღაც სულელური ინიციატივით გამოვიდნენ.

***– ამ ხელისუფლებას ბევრი უცნაური ინიციატივა შემოუთავაზებია. თქვენ რომელ მათგანს მიიჩნევთ სულელურად?***

– ქოცებმა გვამცნეს, რომ ვისაც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილი არა აქვს, საჯარო სამსახურში ვერ დასაქმდება.

***– ეს რატომ არის სულელური ინიციატივა?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს სულაც არ უკავშირდება ჯარის სიძლიერის გაზრდას. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ოცნება“ ჯარს ებრძვის. გააუქმეს რეზერვის სისტემა.

წინა ხელისუფლება იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სწავლის საფასურის გადახდა არ შეეძლოთ, ასეთ რამეს სთავაზობდა, თუ ისინი ერთი წელი იმსახურებდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, მათ სწავლის საფასურს სახელმწიფო გადაუხდიდა.

ქოცებმა სავალდებულო სამხედრო სამსახური სულ გააუქმეს. ამის შემდეგ კანონს იღებენ, რომ თუ ადამიანს ჯარი არა აქვს გავლილი, მას სახელმწიფო სამსახურში არ დაასაქმებენ. აქამდე ჯარის მნიშვნელობა დააკნინეს და ახლა რაღაც სისულელეს იგონებენ.

საქართველო სახელმწიფო აღარ არის – ქოცების წყალობით აბსურდის თეატრს დავემსგავსეთ. საბავშვო ბაღებში ვირისა და ცხენის ხორცი შეაქვთ. კომპანია, რომელმაც ეს საშინელება ჩაიდინა, დღემდე ამარაგებს ბათუმის ბაღებს.

ქოცების ხელში ისიც ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ბაღებში ვადაგასულ ჩინურ რძის ფხვნილზე დამზადებული რძის პროდუქტები შეაქვთ.

მოსამართლეებზე საერთოდ არაფრის თქმა აღარ მინდა, მაგრამ, ერთი რამე რომ არ ვთქვა, არ შემიძლია. სულ ის გვესმის, რომ სააკაშვილის დროს სასამართლო იყო პოლიტიზებული და მათ პოლიტიკური გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. თუ ასეთი უსამართლო იყო ჩვენ დროს მიღებული გადაწყვეტილებები, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რატომ არ გასაჩივრდა რომელიმე საქმე, რატომ არ გაუქმდა ჩვენი დროის მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები?!

პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვეს ჯაშუშები, ტერორისტები, კრიმინალები, პედოფილები. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამ ხალხმა არაერთი დანაშაული ჩაიდინა. ეს სხვა საუბრის თემაა და ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ, უბრალოდ, ის მაინტერესებს, რატომ არიან ესენი პოლიტპატიმრები.

***– ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა მიიღო.***

– რის საფუძველზე? ეკა ბესელიამ და ნანა კაკაბაძემ უნდა განსაზღვრონ, ვინ არის პოლიტპატიმარი? მათ რატომ უნდა ვენდო? და, რაც მთავარია, რატომ უნდა ჩაითვალოს ადამიანი პოლიტპატიმრად, რომელსაც პოლიტიკასთან და პარტიებთან არანაირი შეხება არ აქვს?!

ქოცების მიერ პოლიტპატიმრებად შერაცხულებიდან პოლიტიკასთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ. მათ პოლიტპატიმრებად არ ვთვლი, მაგრამ, ვთქვათ და დავიჯერე, რომ ისინი ციხეში უდანაშაულოდ ჩასვეს. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, რატომ არ დასაჯეს ის პირები, რომლებმაც ეს უკანონობა ჩაიდინეს.

ამაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად მივიღებ პასუხს. ამ ეტაპზე ქოცების ბელადის, წმინდა ბიძინას ცეცხლის გადმოსვლაზე მინდა გესაუბროთ.

***– რა ბიძინას ცეცხლის გადმოსვლაზე?***

– წინა კვირას ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგ სავაჭრო ცენტრს გაუჩნდა ხანძარი – ქოცების ენით რომ გითხრათ, ბიძინას ცეცხლი გადმოვიდა. ამ ცეცხლმა გვამცნო, რომ ქოცების ბელადი არ გარდაცვლილა და საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ მხოლოდ მიიძინა. ახლა ის გადაჭიმულია ლიეჟიდან ვაგზლამდე.

რადგან ლიეჟი ვახსენე, ბარემ მოგიყვებით, რაც იქ ვნახე. დარწმუნებული ვარ, თქვენს მკითხველს ეს დააინტერესებს.

***– თქვენი მონაყოლი შეიძლება სუბიექტური იყოს, რადგან სააკაშვილის მხარდამჭერი ხართ, მაგრამ, საინტერესო იქნება იმით, რომ ამ არეულობის თვითმხილველი ხართ.***

– სააკაშვილის მხარდამჭერი და თანამებრძოლი ვარ, მაგრამ არასდროს შემიფასებია ესა თუ ის მოვლენა სუბიექტურად. ახლაც მხოლოდ სიმართლეს გეტყვით.



ლიეჟში საოცრება ვიხილეთ.

ტიტუშკები 10-10-კაციანი ჯგუფებით გადაადგილდებოდნენ. ხელში ეკავათ გაურკვეველი საკვებით სავსე კონტეინერები, თან ჭამდნენ, თან ყვიროდნენ.

ლიეჟში გამართულ შეკრებას ჩვენი ემიგრანტი თანამებრძოლის მეუღლე, წარმოშობით გერმანელი ახალგაზრდაც ესწრებოდა. კაცი ნანახით გაოგნებული დარჩა.

***– რა ნახა ამისთანა, რომ გაოგნდა?***

– საოცრება ნახა – ტიტუშკები დაცლილ კონტეინერებსა და პლაკატებს ტალახში ყრიდნენ და გაუთავებლად ყვიროდნენ, თან, იცით, რას ყვიროდნენ? მიშა, გადადექიო.

ჩვენი მეგობრის გერმანელი ქმარი ტალახში ჩაყრილ კონტეინერებსა და პლაკატებს სათითაოდ კრეფდა და მათ ნაგვის ბუნკერში ათავსებდა.

***– და საიდან უნდა გადამდგარიყო სააკაშვილი? არ იციან, რომ მისი წასვლის შემდეგ საქართველომ უკვე მეორე პრეზიდენტი აირჩია?***

– სალომე არავის აურჩევია. რაც შეეხება მიშას გადადგომის მოთხოვნას, იმდენად უაზროები არიან, რომ ისიც კი არ იცოდნენ, რას ყვიროდნენ. სამაგიეროდ, იცოდნენ, რამდენი ფული უნდა აეღოთ. ყველა მათგანს დაურიგეს გარკვეული თანხა. ამ ადამიანებს სახეზე ნიღბები ჰქონდათ აფარებული.

მოდი, ამით ამაზე საუბარი დავამთავროთ, ისედაც ბევრი დრო დავუთმე, თანაც ბევრად უფრო უარესი ამბები ხდება ქვეყანაში. ლამისაა, ეკლესია დაგვემხოს თავზე. ყველა ჩვენგანი კარგად ხედავს, თუ როგორ კლავენ დეკანოზ გიორგი მამალაძეს.

იმის ნაცვლად, რომ რაღაცა მოვიმოქმედოთ, მშვიდად ველოდებით, რა მოხდება. ღმერთმა დაიფაროს მამა გიორგი და, მას რომ რამე მოუვიდეს, ფეისბუქი ჩამოიქცევა, ერთმანეთს დაასწრებენ იმის დაწერას, ნათელში იყოს სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანიო.

***– ისე, მაგის მეტს მართლა არაფერს ვაკეთებთ – სახლებში ვსხდევართ და სოციალურ ქსელში ვწერთ რაღაცებს.***

– მთელი ერი მოსე მწერლებად ვართ ქცეული. ღმერთმა დაიფაროს მამა გიორგი მამალაძე, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ძალიან სამწუხაროა ისიც, რომ საპატიმროში გამომწყვდეული დეკანოზი პატრიარქმა არ მოინახულა.

არ მინდა, მამა გიორგიმ მამა თეოდორეს ბედი გაიზიაროს, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დახვრიტეს. არადა, მამა თეოდორე იმ საბედისწერო თვითმფრინავში არც კი ასულა.

მაშინ ბერ თეოდორეს გვერდით არც ერთი სასულიერო პირი არ დაუდგა. ის ადამიანები, რომლებმაც მაშინ მამა თეოდორე გაწირეს, ახლაც ეკლესიაში არიან და ამიტომ არ მიკვირს მათი დუმილი.

ეს სასულიერო პირები როგორმე რომ გამოვაფხიზლო, იმას გეტყვით, რა სიტყვაც მამა თეოდორემ სასამართლოზე წარმოთქვა. ეს საოცარი სიტყვა იყო.

აი, რა თქვა თეოდორე ჩიხლაძემ სასამართლოზე, სადაც მას დახვრეტა მიუსაჯეს:

„უფალო, მომეცი ძალა, რომ ვთქვა სიმართლე სიტყვითა შენითა და არა სიტყვითა ჩემითა და თუ ღირსი ვარ, დამიცავი.

უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ როგორც მსჯავრდებული, მე აქ არ უნდა ვიყო. არც ერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანებს არ სჯიან, მით უფრო, არ ხვრეტენ.

თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და სწორედ ამის გამო მასამართლებთ. ვიცი, რომ აქ დამსწრე საზოგადოების 80%-ს ვეზიზღები, როგორც მღვდელი და ჩემს ჩვენებას სიგიჟედ მიიჩნევს.

მე არაფერს ვითხოვ, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. სასამართლო ბრალად ბანდის ხელმძღვანელობას მდებს. დიახ, მე ვიყავი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც თეოლოგიას ვასწავლიდი, მაგრამ ბანდის ხელმძღვანელი არასდროს ვყოფილვარ. აქ მყოფ სხვა ბრალდებულებთან მქონდა მხოლოდ სარწმუნოებრივი კავშირი, ისეთი, როგორიც ერთ მორწმუნეს მეორე მორწმუნის მიმართ აქვს.

მე კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებს. თითოეული მათგანი ნიჭიერი და ღრმადგანათლებულია. თავად დამიდასტურებენ, რომ მათ ყოველთვის ჭეშმარიტებისკენ და პატიოსნებისკენ მოვუწოდებდი.

თქვენს გულებში ჩაიხედეთ და თქვენს გულებში მაინც თქვით, რომ ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ დახვრეტის მუხლი დავიმსახურო.

მე სახარებით ვცდილობდი მორწმუნეთა და ურწმუნოთა შემოერთებას. თავს დამნაშავედ არაფერში ვცნობ. თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სახლში მაქვს ერთი ძველი რუკა, სადაც აღნიშნულია ყველა ქართული ეკლესია, რომელზეც ხელს დამიდებთ, იქ წავალ, მთლად გადაკარგულ მთაშიც რომ იყოს, იქ წავალ და იქ განვლევ ჩემს დატანჯულ ცხოვრებას.

და თუ მაინც მომკლავთ და ამით ამ ხალხს რამე ეშველება, მზად ვარ, სიამოვნებით მივიღო თქვენი განაჩენი.

მე დამხვრიტეთ, მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ. ამათ რამეში გამოიყენებთ“.

ეს მამა თეოდორეს სიტყვის მხოლოდ ნაწილია. მის სიტყვას მისი დედა იწერდა. დედამ შვილის სიტყვას ბოლომდე ვერ მოუსმინა. ის დარბაზიდან გამოაგდეს.

იმედი მინდა მქონდეს, რომ მამა თეოდორეს სიტყვა სასულიერო პირებს რაღაცნაირად დააფიქრებს. სიმართლე გითხრათ, დიდად არ მჯერა, რომ რამე შეიცვლება, რადგანაც საქართველოში გრძელდება საბჭოთა რეჟიმი უკუნითი უკუნისამდე.

დღეს ისევ ხვრეტენ მართლმადიდებლობას და ჩვენ თვალწინ კლავენ დეკანოზ გიორგი მამალაძეს. მას კლავენ ღიად. მას კლავენ იმიტომ, რომ ვიღაცას ასე სჭირდება. დღევანდელი ხელისუფლება ღიად ებრძვის საპატრიარქოს.

***– როგორც ამბობენ, საპატრიარქოს სააკაშვილიც სერიოზულად ებრძოდა.***

– კარგით, რა. სააკაშვილის დროს საქართველოში ასეულობით ეკლესია-მონასტერი აშენდა. საპატრიარქოს ნდობა მიშას დროს 98% იყო. ხელისუფლება საპატრიარქოს ყველა ახირებას ასრულებდა.

მაშინდელი ოპოზიციისა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხმის ჩახლეჩამდე ბღაოდნენ, პატრიარქი „პლენშიაო“. იმდენი იბღავლეს, ვიდრე მართლა „პლენში“ არ აიყვანეს პატრიარქი.

ახლა მე მინდა, ხმამაღლა და ყველას გასაგონად ვიყვირო, რომ პატრიარქი და მთელი საპატრიარქო „პლენშია“ აყვანილი. ბიძინა ივანიშვილი ღიად ებრძვის საპატრიარქოს, სასულიერო პირებზე კომპრომატებს აგროვებს და მათი დახმარებით აშანტაჟებს ეკლესიას.

აბა, ახლა იკითხეთ, როგორია ეკლესიის რეიტინგი. ოლიგარქი თუ არ მოვიშორეთ, ეკლესია კიდევ უფრო დაკარგავს ნდობას.

***– რაში აწყობს ეს ივანიშვილს?***

– ივანიშვილი არის მანიაკი და ყველა სძულს, ვისაც მასზე მაღალი რეიტინგი აქვს. რაც ქოცები მოვიდნენ, არაერთი სასულიერო პირი დააკავეს. ზოგიერთი მათგანი ნარკოტიკების მოხმარებაზე ზის.

ნარკოტიკები ვახსენეთ და ოლიგარქის ახალ ვნებაზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას. ის სოფლის მეურნეობის აყვავებას გვპირდებოდა და თურმე, მარიხუანის პლანტაციების მოშენების მიზნით, აზიის ქვეყნებიდან რამდენიმე ტონა კანაფის თესლის შემოტანას გულისხმობდა, მარიხუანის კულტივაციის მიზნით კანონპროექტიც მისი დაკვეთით მომზადდა. ეს კანონი პარლამენტშიც უპრობლემოდ დარეგისტრირდა.

თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში განცდილი მარცხისა და საზოგადოების მწვავე რეაქციის ფონზე, მეორე ტურის წინ უკან გაიწვია, ოღონდ დროებით. ძალადობრივი და ტოტალურად გაყალბებული მეორე ტურის შემდგომ, როგორც მესამე პრეზიდენტი გვიანონსებდა, ტლუ მონამ თავის მონებს უმრავლესობიდან მარიხუანას კულტივაციის შესახებ კანონპროექტის უკან დაბრუნება და მიღება უბრძანა.

რუსი ოლიგარქი სრულიად დაუფარავად და ურცხვად აცხადებს, რომ ამ ბიზნესით 500%-იანი მოგება უნდა ნახოს და დამატებით 2 მილიარდი დოლარი უნდა გამოიმუშაოს.

მას ისედაც მთელი საქართველო ჯიბეში უდევს, ამ საყოველთაო სიღარიბისა და ეროვნული გამოთაყვანების ფონზე, პირადი ინტერესების მიზნით, ღიად აცხადებს, რომ ვაზის ქვეყანას ნარკოკარტელად გადააქცევს და, ვინც გადარჩა, იმასაც გაანადგურებს.

კანაფის კულტივაციის თემა და გასაღების ბაზრების მოძიება სერგეენკოს დაავალა. რაც შეეხება კანაფის თესლს, უკვე ვნახეთ, რომ კანონის მიღებამდე ეტაპობრივად და ნახევრად საიდუმლო ვითარებაში შემოიტანა და გააშენა კიდეც. ვის უკვირს და ვის ესმის პირველად, რომ ივანიშვილის ტვირთები საბაჟოზე ხელშეუხებელია და განბაჟების სისტემის გვერდის ავლით შემოდისქვეყანაში?!

---

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი

# 2018 წელს საავტომობილო ზეთების ყველაზე მსხვილი მომწოდებელი ირანია

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, 2018 წელს თვეებში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 18,8 ათასი ტონა, რაც 0,5 ათასი ტონით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (18,3 ათასი ტონა) შედარებით.

ქვეყნების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა ირანიდან – 3,9 ათასი ტონა, შემდეგ მოდიან: თურქეთი – 3,45 ათასი ტონა, რუსეთი – 3,4 ათასი ტონა, გერმანია – 1,8 ათასი ტონა, უკრაინა – 1,0 ათასი ტონა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ქვეყნების მიხედვით ზეთების ყველაზე დიდი მომწოდებლები იყვნენ: რუსეთი – 3,9 ათასი ტონა, თურქეთი – 3,0 ათასი ტონა, ირანი – 2,5 ათასი ტონა, გერმანია – 2.0 ათასი ტონა.

საქართველოში დღესდღეობით რეგისტრირებულია მილიონ ორასოცდარვა ათასამდე სატრანსპორტო საშუალება, რომლის 46%-ი ეს არის ოც წელზე ზევით, 45% – 11-20 წლის, 5,4% – 7-10 წლის, 2,3% – 4-6 წლის, 1,3 % – 1-3 წლის.

იმპორტის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირანი, რომელიც არ ითვლება ზეთების ტრადიციულ მწარმოებელ ქვეყნად, ჩვენთვის მთავარ მომწოდებლად იქცა და მან იმპორტის მხრივ გაუსწრო ზეთის მწარმოებელ ისეთ ტრადიციულ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია და თურქეთი. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ირანული ზეთი არის დაბალი ფასის თავის ხარისხიდან გამომდინარე ( ხშირ შემთხვევაში მას არავითარი საერთო არ აქვს საავტომობილო ზეთებთან) და სწორედ ეს იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ ირანულ ზეთებზე მოხმარება გაიზარდა. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასურველია ქვეყანაში იზრდებოდეს მოხმარება მაღალი ხარისხისა და სტანდარტის პროდუქციაზე ვინაიდან ამ შემთხვევაში არის გარანტია იმისა, რომ სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ექსპლუატაციის ვადა გაცილებით მეტი იქნება, რაც მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის. უხარისხო პროდუქციის ქვეყანაში შემოსვლის კონტროლისთვის კი აუცილებელია, რომ დაწესდეს სავალდებულო მინიმალური ხარისხის სტანდარტი საავტომობილო ზეთებზე და მოხდეს ამ სტანდარტის შესრულების კონტროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდგომ პერიოდში უხარისხო პროდუქციის მასშტაბები კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება.

**კომერსანტი**

# თემურ ბასილია: „აუცილებელია, მკაფიოდ ითქვას – იმის მსგავსი, რასაც დღეს „თიბისი ბანკს“ ედავებიან, სხვა ბანკებშიც ხდებოდა თუ არა?“



ამერიკაში მცხოვრები ფინანსისტი თემურ ბასილია „თიბისი ბანკის“ საქმეს „კომერსანტთან“ აფასებს. მისი განმარტებით, ერთ კონკრეტულ ბანკში მიმდინარე შემოწმება არც საბანკო სისტემის რყევას გამოიწვევს და არც ამ ბანკის საქმიანობას შეუშლის ხელს. თუმცა, „თიბისი ბანკის“ მიმართ რაც ხდება, ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოებისა და ინვესტორებისთვის. სწორედ რეალური ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს სხვადასხვა კითხვას.

როგორც ბასილია განმარტავს, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რა ხდებოდა რეალურად „თიბისი ბანკში“ და რამდენად იყო ეს მოვლენა კანონსაწინააღმდეგო? ასევე, აუცილებელია მკაფიოდ ითქვას, რომ იმის მსგავსი, რასაც დღეს „თიბისი ბანკს“ ედავებიან, ხდებოდა თუ არა სხვა ბანკებში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე, ინვესტორებისთვის, რათა ნათელი გახდეს ყველასთვის, რომ ეს შემოწმება არის ლეგიტიმური და ადგილი არა აქვს შერჩევით სამართალს.

ბასილიას განმარტებით, საბანკო სექტორში პრობლემები დაახლოებით 12 წლის წინ დაიწყო. წინა ხელისუფლების დროს ბანკებს განსაკუთრებული პირობები შეუქმნეს, მისცეს დიდი შეღავათები.

– საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, როგორ იყენებდა ბანკებს წინა ხელისუფლება მათთვის არასასურველი პირებისთვის ქონების წართმევის დროს. ყველა საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი. განა, ასეთი რამ „თიბისი ბანკის“ მიერ არ ხდებოდა? ან, მხოლოდ „თიბისი ბანკის“ მიერ ხდებოდა? რა თქმა უნდა, სხვა ბანკებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. რატომ არის მიჩუმათებული ეს თემა? სწორედ ამის გამო არის საზოგადოებასა და ინვესტორებში შეგრძნება, რომ ადგილი აქვს შერჩევით სამართალს.

რა ადგილი უკავია ამ საქმეში ეროვნულ ბანკს? იმის ნაცვლად, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საბანკო პრობლემების დაძლევაში, ეროვნული ბანკი საკმაოდ უსუსურ და არაპროფესიულ კომენტარებს აკეთებს 10 წლის წინ მომხდარ გადაცდომაზე და „ვერ ამჩნევს“ გაცილებით სერიოზულ გადაცდომებსა და დანაშაულს, როგორიც არის, მაგალითად, გაცვლითი კურსით მანიპულაციები, არასაბანკო აქტივების კორუფციული მიზნით გამოყენება, ე.წ. რეფინანსირების სესხებთან დაკავშირებული კორუფციული გარიგებები. აქედან მხოლოდ ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ერთი – ეროვნული ბანკი იმდენად უსუსური და არაკვალიფიციურია, რომ არ შეუძლია არსებულ პრობლემებთან გამკლავება ან მეორე – ეროვნული ბანკი თავად არის ამ კორუფციული სქემების სათავეებთან, – აღნიშნავს ბასილია.

საბანკო სექტორი საკმაოდ სენსიტიურია, ერთი ბანკის ირგვლივ განვითარებული ეს პროცესები, ზოგადად, საბანკო სისტემაზე რა გავლენას მოახდენს, ან ხომ არ იქნება ცუდი სიგნალი ინვესტორებისთვის?

ბასილია განმარტავს, რომ, თუ ინვესტორებს გაუჩნდებათ კითხვები შერჩევით სამართალთან დაკავშირებით, ეს ნამდვილად უარყოფით გავლენას მოახდენს, როგორც მათ განწყობაზე, ასევე, ქვეყნის იმიჯზე.

გარდა ამისა, მისი თქმით, ერთი ბანკის ირგვლივ არსებული პრობლემები სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს საბანკო სექტორზე მთლიანად.

– თუმცა, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე, განსაკუთრებით კი, ბანკებში არსებულ ლიკვიდობის პრობლემებზე. აი, ეს კი, მართლაც სერიოზული პრობლემაა. ასევე, სერიოზული პრობლემაა, რომ დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, რომ საბანკო სექტორისგან გამიჯნულიყო არაპროფილური საქმიანობა. ამ თემაზეც არაერთხელ გვისაუბრია. როდესაც არის პრეტენზიები ერთი ბანკის მიმართ, რომ ის ჩართულია ანაკლიის პროექტის განხორციელებაში, რაც არ არის მისი პროფილური საქმიანობა და რაც, ზოგადად, სწორია, მაშინ, ასევე უნდა ითქვას, რომ სხვა სფეროებში ბანკების (არა მარტო თიბისის) აქტიური ჩართულობაც ასევე არასწორია, – აღნიშნავს ბასილია.

აღიქმება თუ არა „თიბისი ბანკის“ ქეისი ბიზნესზე ზეწოლად? ბასილია განმარტავს:

– რამდენადაც მახსოვს, თავად „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელები აცხადებდნენ საჯაროდ რამდენიმე თვის წინ, რომ ბიზნესზე ზეწოლა არ ხდებაო. ამიტომაც, პირველ რიგში, მათ უნდა უთხრან საზოგადოებას, ამჟამად ხდება თუ არა მათზე ზეწოლა.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკი „თიბისი ბანკისგან“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის მიერ საბჭოს წევრობის დატოვებას ითხოვს. მათივე ინფორმაციით, რეგულატორის მოთხოვნა უკავშირდება 2007-2008 წელს შესრულებულ კონკრეტულ ტრანზაქციებს, რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიცირდება, როგორც ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევა.

შეგახსენებთ, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, 2008 წლის აპრილ-მაისში კომპანიებმა შპს „სამგორი M“-მა და „სამგორი თრეიდმა“ „თიბისი ბანკისგან“ საბრუნავი სახსრების შევსების მიზნობრიობით, დაახლოებით, 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი აიღეს, რაც იმავე დღეს სესხის სახით გაცემული იქნა ფიზიკურ პირებზე – ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეზე. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, მთელ ამ პერიოდში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც „სამგორი M“-სა და არც „სამგორი თრეიდის“ მიერ სესხის სახით აღებული თანხის გაღება არ მომხდარა, ხოლო მოგვიანებით მათი ჩანაცვლება მოხდა ოფშორში რეგისტრირებული კომპანიით და დღემდე ეს თანხა „თიბისი ბანკისთვის“ ანაზღაურებული არ არის.

**კომერსანტი**

# ხაზარაძე: „სახელმწიფო უწყებების მხრიდან უპრეცედენტო შემოტევისა და წნეხის ქვეშ ვიმყოფებით“



ორკესტრირებული თავდასხმა TBC ბანკზე, რომლის მიზანიც ბანკის ხელში ჩაგდების სურვილია – ის, რაც მამუკა ხაზარაძემ არ თქვა საჯარო განცხადებაში, პირდაპირ თქვა თანამშრომლებისთვის დაგზავნილ კონფიდენციალურ წერილში.

ელექტრონული შეტყობინებაში მამუკა ხაზარაძე TBC ბანკის გარშემო დაწყებულ კამპანიას პირდაპირ უკავშირებს პოლიტიკას, მისი ბიზნესის მიტაცების სურვილს და აღნიშნავს, რომ უპრეცედენტო შემოტევა და ორკესტრირებული თავდასხმა სწორედ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ხორციელდება.

წერილი, რომელიც ექსკლუზიურად კურიერმა მოიპოვა, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის გუშინდელ ბრიფინგამდე ერთი საათით ადრე კომპანიის 7.00 თანამშრომელს გადაეგზავნა.

წერილში წერია:

„მეგობრებო, თიბისელებო!

ჩვენ ბიზნესისტორიის 29 წლის განმავლობაში ვიმყოფებით უპრეცედენტო შემოტევებისა და წნეხის ქვეშ სახელმწიფო უწყებების მხრიდან. ეს არის ორკესტრირებული თავდასხმა, რომლის მიზანია, ჩამოგვაშორონ მე და ბადრი ჩვენს საკუთარ საქმეს, რომელსაც 27 წელი შევწირეთ თქვენთან ერთად. ასევე, ჩვენ და ბანკს დაგვაბრალონ ყველაზე საშინელი დანაშაული, ფულის გათეთრება და შემდეგ დაეპატრონონ ბანკს.

ამას ვერ დავუშვებთ!

ჩვენი გუნდი არის წარმატების მაგალითი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

ჩვენ ერთად შევქმენით ეს უნიკალური კულტურის, ურთიერთობებისა და ტრადიციების მქონე პროფესიონალთა გუნდი, დღეს ამ გუნდის გახლეჩა და დაშლა უნდათ.

ამას ვერ დავუშვებთ!

დღეს, როგორც არასდროს, ერთად დგომა არის გადარჩენის ერთადერთი შანსი, ბრძოლა არ იქნება ხანმოკლე. სჭირდება გამძლეობა და სიმამაცე.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ უთანასწორო და უსამართლო ომში.

ჩვენ ვიბრძოლებთ!

ჩვენ გავიმარჯვებთ!“

**რუსთავი 2**

# ივანე მაჭავარიანი: „არც ანაკლიას, არც საკუთრივ „თიბისი ბანკსა“ და საფინანსო სისტემას არანაირი საფრთხე არ ემუქრება“



– გამოვრიცხავ, რომ „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ანაკლიის პროექტს უკავშირდებოდეს.

ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა განაცხადა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, ანაკლიის შემთხვევაში ხელისუფლება მაქსიმალურად უჭერს მას მხარს.

– გამოვრიცხავ, რომ „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ანაკლიის პროექტს უკავშირდებოდეს. პირიქით, ანაკლიის შემთხვევაში ხელისუფლება მაქსიმალურად უჭერს მას მხარს. არანაირი კავშირი ამას არ აქვს, დარწმუნებული ვარ. ამავდროულად, არც ანაკლიას, არც საკუთრივ „თიბისი ბანკსა“ და საფინანსო სისტემას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. იყო კონკრეტულ ტრანზაქციაზე კონკრეტული შეკითხვები და მჯერა, პასუხი ზუსტად ამ ტრანზაქციაზე იქნება გასაცემი. ჩემი აზრით, ანაკლიის პროექტი ცალკე მდგომი, მნიშვნელოვანი პროექტია და ინვესტორების გადაწყვეტილება, მიიღონ თუ არა მონაწილეობა ამ პროექტში, დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, მათთვის ეკონომიკურად რამდენად გამართლებული იქნება ეს პროექტი, – განაცხადა მაჭავარიანმა.

**კომერსანტი**

# სასაკლაოებში პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების ფასი გაიზარდა



ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი 2018 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის IV კვარტალში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა – 26.0 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა – 10.7 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა – 22.1 ლარი ღირდა. ეს მაშინ როდესაც, 2017 წლის IV კვარტლის მონაცემებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა – 23.3 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა – 9,6 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა – 20,7 ლარი ღირდა.

რაც შეეხება სასაკლაოების რაოდენობას, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 20 ერთეულით გაიზარდა. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის IV კვარტალში საქართველოში 92 ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, ხოლო 2017 წელს – 72.

ამასთან, 2018 წელს აღრიცხული სასაკლაოებიდან 22.8% – ქვემო ქართლში, 16.3% – კახეთში, 12.0% – იმერეთში, 12.0% – შიდა ქართლში, 9.8 % – სამეგრელო -ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 27.2 % სხვა რეგიონებშია განთავსებული. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

საქსტატის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის IV კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 143.1 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის, 32.2 % მსხვილფეხა, ხოლო 67.8 % – წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა კი 3,002.7 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

ამასთან, სასაკლაოებმა 2018 წლის IV კვარტლის განმავლობაში 11,371.0 ტონა ხორცი აწარმოეს (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 40.2% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 35.3% – ფრინველის, 15.4% – ღორის, 9.0 % – ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

საქსტატის ინფორმაციით, მომსახურება გაეწია 12.8 ათას პირს, საიდანაც 50.1% შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობას, 2018 წლის IV კვარტლის მონაცემებით, 993 კაცი შეადგინა.

# იანვარში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 826.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2019 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 826.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.2 პროცენტით აღემატება.

აქედან ექსპორტი 238.8 მლნ აშშ დოლარს (7.2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 588.0 მლნ აშშ დოლარს (1.1 პროცენტით ნაკლები) შეადგენს.

„საქსტატის“ ცნობით, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2019 წლის იანვარში 349.2 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.2 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 158.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

– 2019 წლის იანვარში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 59.7 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 7.0 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 25.0 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 139.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (6.4 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 23.7 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 199.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.5 პროცენტით ნაკლებია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 22.9 პროცენტს შეადგენს.

2019 წლის იანვარში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 125.4 მლნ აშშ დოლარის საქონელი, რაც 55.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 52.5 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 168.9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (23.8 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 28.7 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 294.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.6 პროცენტით ნაკლებია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 12.4 პროცენტი იყო“, – ნათქვამია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2019 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.1 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი (39.2 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (34.5 მლნ აშშ დოლარი) და რუმინეთი (28.1 მლნ აშშ დოლარი). ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა კი საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთლიან იმპორტში 69.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (90.7 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი (74.4 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (63.2 მლნ აშშ დოლარი).

– 2019 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი (112.0 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (97.6 მლნ აშშ დოლარი) და მესამე ადგილზე რუსეთი (88.1 მლნ აშშ დოლარი).

2019 წლის იანვარში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 42.5 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 17.8 პროცენტს შეადგინს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები, 26.2 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.0 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები, 18.2 მლნ აშშ დოლარით (7.6 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წლის იანვარში წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 46.1 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.8 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობის აირები 43.7 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 7.4 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 33.5 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 5.7 პროცენტი), – ვკითხულობთ ინფორმაციაში.

# თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, მამაკაცი მოკლეს



გუშინ, 19 თებერვალს, თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, მამაკაცი მოკლეს.

გასროლა ავტომობილიდან მოხდა.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რამდენიმე გასროლის ხმა გაიგეს, ზოგი ამბობს, რომ 9 გასროლა იყო.

ნიუპოსტის ცნობით, გარდაცვლილი 51 წლის ზვიად ჯაფარიძეა და ის, სავარაუდოდ, დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა.

ზვიად ჯაფარიძე 1969 წელს არის დაბადებული და წარსულში რამდენიმეჯერ არის ნასამართლევი.

– თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე მოკლულ მამაკაცს ცეცხლნასროლი ჭრილობა სახის არეში აქვს მიყენებული, – განაცხადა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გაგა კირკიტაძემ.

# სამტრედიაში სახლი აფეთქდა

## 68 წლის ნუკრი მეფარიშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში ბუნებრივი აირის დაგროვების შედეგად აფეთქება მოხდა.



აფეთქების დროს სახლში 68 წლის ნუკრი მეფარიშვილი იმყოფებოდა, რომელიც სხეულის ზედა ნაწილის დამწვრობით და სხვადასხვა დაზიანებით, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სამტრედიის „ჯეო ჰოსპიტალსში“ გადაიყვანა.

ადგილობრივების განცხადებით, ნგრევის და აფეთქების ხმა 1 კმ-ს რადიუსით გავრცელდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო სამსახური, პოლიცია და ,,სოკარ გაზის“ სამტრედიის წარმომადგენლობა.

# ზუგდიდში მანქანამ ქალი გაიტანა

## მძღოლი პოლიციას ჩაჰბარდა



ზუგდიდში ავარიას ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევის დროს ის გზაზე გადადიოდა. ქალი ადგილზევე გარდაიცვალა.

ცხედარი ქუთაისში ექსპერტიზაზე გადაასვენეს, მძღოლი კი პოლიციას ჩაჰბარდა.

მისი ინფორმაციით, გზაზე ცუდი ხილვადობა იყო, რასაც ხელი შეუწყო წვიმამ და საპირისპირო მხრიდან მოძრავმა ავტომობილმაც.

ამის გამო მან ქვეითი ვერ შეამჩნია.

მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით მიმდინარეობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# რუსთავის ახალ ციხეებში ამერიკის გუანტანამოს პატიმრებს არ ჩასვამენ

სპეციალური პენიტენციარული სამსახური კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, რომ რუსთავში მშენებარე ორ ახალ პენიტენციარულ დაწესებულებაში სასჯელს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ამერიკიდან, გუანტანამოს ციხიდან ჩამოყვანილი პატიმრები მოიხდიან.

– გუანტანამოს ციხის პატიმრების ჩამოყვანა არის სიცრუე. რუსთავის ახალ დაწესებულებებში საშუალო რისკის მქონე პატიმრების განთავსება იგეგმება, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში რუსთავის მცხოვრებლებში არსებული ინფორმაციის საპასუხოდ.

ამასთან, პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, რუსთავში მშენებარე ორი ციხიდან ერთი 120 პატიმარზე, მეორე კი 700 პატიმარზეა გათვლილი. უწყებაში განმარტავენ, რატომ შეირჩა ახალი ციხეებისათვის რუსთავი და ქალაქის ისეთი დასახლებული ტერიტორია, როგორიც ე.წ. ჭყონდიდელის დასახლებაა.

„ამ პროექტისთვის საჭირო იყო ისეთი ტერიტორიის შერჩევა (დაახლოებით 20 ჰექტარი), სადაც შესაძლებელი იქნებოდა ორი პენიტენციარული დაწესებულების განთავსება; სახელმწიფომ შემოგვთავაზა ის ტერიტორია, რაც გააჩნდა თავისუფალი; ადგილის შერჩევისას ასევე მნიშვნელოვანია, კომუნიკაციების სიახლოვე, რადგან, თუ არ იქნება ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი, ვერ აშენდება საერთაშორისო სტანდარტის დაწესებულება. ასევე გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა (ვიზიტორი პირებისთვის) და კლიმატური პირობები – მშრალი კონტინენტური ჰავა“, – განმარტეს პენიტენციარულ სამსახურში და იქვე ხაზი გაუსვეს, რომ ახალი დაწესებულებები რუსთაველებისათვის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.



საერთო ჯამში, ორივე დაწესებულებაში 600-ს ახალი სამუშაო ადგილის შექმნა იგეგმება. ორივე პროექტში 50 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდება.

# სინჯიკაშვილი ბაღდავაძის წინააღმდეგ

## „წითელი ცხვირების“ საქმეზე სასამართლო გაიმართა

საქველმოქმედო კამპანია „წითელი ცხვირების“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამზადებელი სხდომა გაიმართა. შესაძლო მორიგების პერსპექტივით სხდომა 20 აპრილისთვის გადაიდო.



სინჯიკაშვილმა „წითელი ცხვირების“ გაყიდვით მიღებული თანხების მითვისებაში საქველმოქმედო კამპანიის ორგანიზატორი თეონა ბაღდავაძე დაადანაშაულა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსაც მიმართა, თუმცა უწყებამ დანაშაული ვერ აღმოაჩინა.

თავის მხრივ, თეონა ბაღდავაძემ აკა სინჯიკაშვილს ცილისწამებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივლა.

– ვითხოვთ, რომ აკაკი სინჯიკაშვილმა უარყოს ეს ცილისმწამებლური განცხადება, რაც მან რამდენიმე წლის წინ სოციალურ მედიაში გააკეთა, თითქოს მე საქველმოქმედოდ შეგროვებული საერთო თანხა მივითვისე და გარდა ამისა, დაზუსტდეს, თუ რაში გამოიყენა მან ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავეცით საქველმოქმედო მიზნებისთვის და ამ თანხების კვალი ჯერ კიდევ უცნობია, – განაცხადა თეონა ბაღდავაძემ.

აკა სინჯიკაშვილის თქმით, მას დამატებითი დოკუმენტები აქვს, რომლებითაც თავისი სიმართლის დამტკიცებას შეეცდება.

– დავა ჯერჯერობით გრძელდება. ყველა დოკუმენტი დღეს არ წარმომიდგენია სასამართლოსთვის, ისედაც შესაგებელშია დაწერილი. ფინანსურმა პოლიციამ, უბრალოდ, გამოძიება არ დაიწყო და ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოძიებული არ არის, – განაცხადა სინჯიკაშვილმა.

# ყაჩაღობაში ბრალდებულებს 9–9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში ბრალდებულები გ.გ. და პ.დ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 14 მაისს, გ.გ და პ.დ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხნენ ქუთაისში, შპს „იკა-ტურიზმის“ თანამშრომელს და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით, ფირმის კუთვნილ 8.850 აშშ დოლარსა და 2.050 თურქულ ლირას დაეუფლნენ.

სამართალდამცველებმა გ.გ. და პ.დ. 2018 წლის 19 მაისს ქუთაისში დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ.გ. და პ.დ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



# „გული ჰქონდა გაჩერებული“

## გორში 16 წლის გოგონამ თავის ჩამოხრჩობა ცადა, მისმა თანაკლასელმა ბიჭმა კი ვენები გადაიჭრა




გორში ორმა თანაკლასელმა თვითმკვლელობა ცადა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა გორის ცენტრალურ უბანში მოხდა.

16 წლის გოგონამ თავის ჩამოხრჩობა ცადა, ბიჭმა კი ვენები გადაიჭრა.

გოგონა კრიტიკულ მდგომარეობაშია. არასრულწლოვანი მართვით სუნთქვაზე, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება, ბიჭი კი, შესაბამისი დახმარების გაწევის შემდეგ, გვიან ღამით სახლში გაწერეს.

– დაახლოებით 16 საათია გასული, რაც გოგონა კლინიკაში იმყოფება და აქამდე ჩატარებული კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მეტწილად პროგნოზი არაკეთილსაიმედოა.

შემოყვანისას მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე, გული ჰქონდა გაჩერებული, თუმცა, პირველივე წუთებში მოხდა გულის მუშაობის აღდგენა, – განაცხადა გუშინ სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის მოადგილე ანა ბოქოლიშვილმა.

# 18 და 19 წლის ახალგაზრდები მობილური ტელეფონების მოპარვისთვის დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, 1999 წელს დაბადებული ი.დ. და 2000 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს რუსთავში ნოკიას ფირმის ტექნიკის მაღაზიიდან მობილური ტელეფონები მოიპარეს. სამართალდამცველებმა ორივე პირი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს, მოპარული ნივთები კი ნივთმტკიცებად ამოიღეს,“ – ნათქვამია ინფორმაციაში.



გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

# მარნეულში 1 პირი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

ხმაური იყო მარნეულში – სამართალდამცველებმა ერთი პირი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

დაკავებულის ახლობლების თქმით, მას ნარკოტიკული საშუალება სამართალდამცველებმა ჩაუდეს. სწორედ ამის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა პოლიციის თანამშრომლებს მოქალაქე ეფენდიევის დაკავების საშუალებას არ აძლევდა.

ადგილზე სამართალდამცველთა რამდენიმე ჯგუფი იყო მობილიზებული. საბოლოოდ ის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი ედება ბრალად, რაც ნარკოტიკის შეძენა-შენახვას გულისხმობს.

– მოიტანეს რაღაც და უთხრეს, ეს შენიაო. რა იყო, ისიც კი არ ვიცით. მანქანაში არაფერი ჰქონია, რატომ დააკავეს? არ ვიცით, რა ხდება, არაფერს გვეუბნებიან, – განაცხადა დაკავებულის ახლობელმა.

# ტრამპმა ვენესუელის სამხედროებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ოპოზიციას

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვენესუელელ სამხედროებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ოპოზიციას და ჰუმანიტარული დახმარება დაუშვან ქვეყანაში. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა მაიამიში ფლორიდის შტატის საერთაშორისო უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– მივიჩნევთ, რომ ვენესუელას შეიარაღებული ძალები და მათი სარდლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყანაში დემოკრატიისკენ გადასვლის მშვიდობიან პროცესში. თუ თქვენ ამ გზას ირჩევთ, გექნებათ შესაძლებლობა, შექმნათ ვენესუელელი ხალხისთვის უსაფრთხო და ბედნიერი მომავალი. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მეორე გზა და განაგრძოთ ნიკოლას მადუროს მხარდაჭერა, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

დონალდ ტრამპის განცხადებით, მეორე გზის არჩევის შემთხვევაში, ვენესუელელი სამხედროები ყველაფერს დაკარგავენ.



– ისინი ვერ იპოვიან თავშესაფარს, მარტივ გამოსავალს. მათ არ ექნებათ უკან დასაბრუნებელი გზა. ისინი ყველაფერს დაკარგავენ, – აღნიშნა აშშ-ის ლიდერმა.

მან ასევე მოუწოდა ვენესუელელ სამხედროებს, ისარგებლონ ხუან გუაიდოს შეთავაზებით და ამნისტია მიიღონ, რათა „თავიანთ ოჯახებთან ერთად მშვიდობიანად გაატარონ ცხოვრება“.

– გუაიდო არ მიისწრაფის შურისძიებისკენ. მადუროს ბრძანებები არ უნდა შეასრულოთ, არ უნდა დაბლოკოთ ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარების შეშვება, არ უნდა დაემუქროთ და ძალა არ უნდა გამოიყენოთ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, – დასძინა ტრამპმა.

ამასობაში ნიკოლას მადურომ მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა. მან განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება სინამდვილეში აგრესიის აქტია.

სამაგიეროდ, რუსების დახმარებას ვენესუელის ლიდერი მიესალმება.

– რუსეთიდან 300 ტონა ჰუმანიტარულ დახმარებას გამოგვიგზავნიან, – განაცხადა მადურომ.

# გენერალი გრიცაკი: „რუსული სპეცსამსახურები ეკლესიების გადაწვას გეგმავენ“




უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია პოზიციებს დღითიდღე იმაგრებს. მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ტაძრები ერთი მეორის მიყოლებით ავტოკეფალურ ეკლესიას უერთდებიან. დღეისთვის 320 ტაძარი, რომელიც ადრე მოსკოვის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, ავტოკეფალურ ეკლესიას შეუერთდა.

პასუხად რუსულმა სპეცსამსახურებმა პროვოკაციების ახალი კასკადი გააჩაღეს.

ზაპოროჟიეში მომხდარი ინციდენტი სწორედ შუღლის გაღვივებისკენ იყო მიმართული. უცნობმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს ტაძარს, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იმყოფება. უკრაინის უშიშროების სამსახურმა (სბუ) ცეცხლის წამკიდებელნი დააპატიმრა. აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი რუსების მიერ იყო მოსყიდული.

სბუ-ს შეფმა, გენერალმა გრიცაკმა პროვოკაციის შემკვეთის ვინაობაც დაასახელა.

– ზაპოროჟიეს ეკლესიისთვის ცეცხლის წაკიდება არტიომ ტიმჩენკომ შეუკვეთა, – განაცხადა გენერალმა.

ტიმჩენკო ზაპოროჟიეს მკვიდრი და ფრიად კოლორიტული ბიოგრაფის პიროვნებაა. ის პრორუსული მოძრაობის აქტივისტი და უკრაინის გახლეჩის აქტიური მომხრე იყო. ტიმჩენკო ამტკიცებდა, რომ დასავლეთ უკრაინას თავისი ფასეულობები, ისტორია და მენტალიტეტი გააჩნია, რაც უკრაინის აღმოსავლეთი რეგიონებისთვის მიუღებელია.

ღირსების რევოლუციის შემდეგ ტიმჩენკო დონეცკში გაიქცა და დღესაც რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება. ის აქტიურ ანტიუკრაინულ მოღვაწეობას ეწევა და რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირში მოქმედებს.

გენერალმა გრიცაკმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ზაპოროჟიეს მსგავსი პროვოკაციები კიდევ არის მოსალოდნელი.

რუსული სცენარის თანახმად, მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული კიდევ 20 ეკლესიის გადაწვაა დაგეგმილი. რუსები საამისოდ ადგილობრივ მოსახლეობას იყენებენ და ეკლესიისთვის ცეცხლის წაკიდების სანაცვლოდ ფულს უხდიან.

– რუსული სპეცსამსახურები უკრაინაში ეკლესიებისთვის ცეცხლის წაკიდებით რელიგიური შუღლის გაღვივებას ცდილობენ! – ამბობს გრიცაკი.

ზაპოროჟიეში მომხდარი ინციდენტის შემდეგ დონბასელ სეპარატისტთა საიტ „რუსსკაია ვესნაზე“ ფრიად საგულისხმო ინფორმაცია გაჩნდა. მასში ნათქვამი იყო, რომ ე.წ. „უკრაინელი ფაშისტები“ აშკარა ძალადობაზე გადავიდნენ და ეკლესიების დაწვა დაიწყეს. უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობას ერთადერთი გამოსავალი რჩება: იარაღი აისხას, რათა წინაპართა რწმენა დაიცვას.

– შეიქმნება თავდაცვითი რაზმები! ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ფაშისტებს საკადრის პასუხს გასცემენ,! – იმუქრება „რუსსკაია ვესნა“.



# ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს შემოიღებს

ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებენ.

ამ საკითხზე ევროკავშირში კონსენსუსს უკვე მიაღწიეს.

– სანქციების მიზეზი ქერჩის სრუტეში რუსეთის მიერ მოწყობილი პროვოკაციაა, – განაცხადა მოგერინიმ.

ევროკომისარმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციები მუდმივი არაა. მათი გაუქმება მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული.

– როგორც კი მოსკოვი უკრაინის მიმართ აგრესიას შეწყვეტს, სანქციები გაუქმდება, – ამბობს მოგერინი.

# საფრანგეთში ახალი რაკეტები გამოცადეს

ახალი ცივი ომი უკვე რეალობაა. მისი განუყოფელი თანმხლები კი გამალებული შეიარაღებაა. საფრანგეთშიც ახალი რაკეტები გამოცადეს.

გამოცდა საფრანგეთის სამხედრო საჰაერო ძალების პოლიგონზე ჩატარდა და წარმატებით დასრულდა.



# ყირიმი ჰუმანიტარული კატასტროფის პირასაა

ანექსირებულ ყირიმში მდგომარეობა უარესდება.

ამ ნახევარკუნძულს წყლით უკრაინა ამარაგებდა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ უკრაინამ წყლის მიწოდება შეწყვიტა.

შედეგად დაიწყო ნიადაგის დამარილება.

ყირიმი ჰუმანიტარული კატასტროფის პირასაა. ყირიმი

# აშშ-ში საგანგებო მდგომარეობას აპროტესტებენ

აშშ-ში საპროტესტო აქციებია. ხალხი ტრამპის მიერ საგანგებო მდგომარეობის შემოღებას აპროტესტებს.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ასეთი განკარგულება გამოსცა, რადგანაც კონგრესმა არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა მექსიკასთან კედლის აშენების თაობაზე.

ვაშინგტონში, ჩიკაგოში და სხვა ქალაქებში საპროტესტო მიტინგები მიმდინარეობს.

ზოგი შტატი თვლის, რომ ტრამპმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა. რამდენიმე შტატის წარმომადგენლებმა ტრამპს სასამართლოშიც უჩივლეს.




# ტრამპი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მშვიდობის დაცვისთვის ნობელის პრემიაზეა წარდგენილი, რაც იაპონიის პრემიერის აბეს ინიციატივით მოხდა.

– აბემ ნობელის კომიტეტს წერილი გაუგზავნა და მშვიდობის დაცვის საქმეში ჩემი ღვაწლი აღნიშნა! – თქვა ტრამპმა.

თავად აბემ განაცხადა:




– აშშ მთელ მსოფლიოში მშვიდობის უმთავრესი ბურჯია! ტრამპმაც მშვიდობის შენარჩუნებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა.

ამერიკულ მედიაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ პრემიერმა აბემ ეს ნაბიჯი ამერიკის მთავრობის არაფორმალური თხოვნის საფუძველზე გადადგა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# განცხადებები


## სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სოლსკიაერი და პოგბა მოურინიოს შემდეგ



ინგლისის თასის მერვედფინალში, მანჩესტერი ჩელსის ესტუმრა და 2:0 დაამარცხა. ანგარიში 31-ე წუთზე ანდერ ერერამ გახსნა, ტაიმის ბოლო წუთზე კი კეპას კარი პოლ პოგბამაც აიღო.

აღსანიშნავია, რომ სერ ალექს ფერგიუსონის წასვლის შემდეგ, ოლე გუნარ სოლსკიაერი გახდა მანჩესტერის პირველი მწვრთნელი, რომელმაც ჩელსი სტემფორდ ბრიჯზე დაამარცხა. აქამდე ამის შანსი დევიდ მოიესს, ლუი ვან გაალსა და ჟოზე მოურინიოსაც ჰქონდათ, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ჩელსისთან სტუმრად მოგება ვერ შეძლო.

სოლსკიაერი მანჩესტერში მოურინიოს წასვლის შემდეგ დაინიშნა და დროებით მწვრთნელად ითვლება. იმ შემთხვევაში თუ ნორვეგიელი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს, მანჩესტერელები ტოტენჰემიდან მაურისიო პოჩეტინოს გადაბირებაზე იმუშავებენ.

სოლსკიერის ხელში ათამაშდა პოლ პოგბა, რომელმაც ბოლო 12 მატჩში 9 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი გააკეთა. ეს საოცარი მაჩვენებელია ნახევარმცველისთვის.

რომელ 12 მატჩზე ვსაუბრობთ? სწორედ იმ 12-ზე, რომელშიც მანჩესტერ იუნაიტედს ნორვეგიელი სპეციალისტი წვრთნის. მოურინიუს დროს კი, ყველას ახსოვს, პოგბა სუსტად თამაშობდა.

ჩელსისთან მოგებულ მატჩში პოგბამ ჯერ ანდერ ერერას გაატანინა, მერე თავად გაიტანა მარკუს რაშფორდის პასით.

# ელ კლასიკოს მსაჯები შეცდომას აღიარებენ




რეალი-ბარსელონას ელ კლასიკო მარტო საფეხბურთო მოედანზე არ იმართება – ასეა კალათბურთშიც და ყველა შეხვედრა დრამატული, დაძაბული და ემოციებით დატვირთულია.

ახალი რა არის? ის, რომ კალათბურთში ესპანეთის სამეფო თასის ფინალური შეხვედრა, რომელშიც ბარსელონამ რეალი დრამატულ ბრძოლაში, ოვერტაიმში, ერთი ქულის სხვაობით დაამარცხა. თამაში კი სკანდალით დასრულდა, რაშიც წვლილი არბიტრების გადაწყვეტილებას მიუძღვის.

დამატებული ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გადამწყვეტი ქულები კი ბარსელონამ არბიტრების სადავო გადაწყვეტილების წყალობით მოიპოვა. ბოლო წამებზე მსაჯებმა ბარსელონას ცენტრს ანტე ტომიჩს ქულები მას შემდეგ ჩაუთვალეს, რაც გადაწყვიტეს, რომ რეალის ფორვარდმა ენტონი რენდოლფმა წესების დარღვევით დაუფარა. არბიტრებმა მომენტის განსჯისთვის ვიდეოგამეორებაც გამოიყენეს, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეცვალეს და ბარსელონას გამარჯვების მომტანი ქულები მაინც ჩაუთვალეს.

მადრიდის რეალი მიიჩნევს, რომ არბიტრებმა დაჩაგრეს და ახლა ესპანეთის ჩემპიონატის დატოვებით იმუქრება, თუკი ლიგა ოფიციალურად არ აღიარებს მსაჯების შეცდომებს.

ესპანეთის მსაჯთა ასოციაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა და შეცდომა აღიარა.

# შედეგები

**18 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ჩელსი-მანჩესტერი ........................ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

უესკა-ბილბაო ................................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 16 | 6 | 2 | 61-23 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 13 | 8 | 3 | 34-17 | 47 |
| 3.რეალი | 24 | 14 | 3 | 7 | 41-29 | 45 |
| 4.სევილია | 24 | 10 | 7 | 7 | 38-28 | 37 |
| 5.ხეტაფე | 24 | 9 | 9 | 6 | 30-21 | 36 |
| 6.ალავესი | 24 | 10 | 6 | 8 | 25-28 | 36 |
| 7.სოსიედადი | 24 | 9 | 7 | 8 | 30-25 | 34 |
| 8.ბეტისი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-30 | 33 |
| 9.ვალენსია | 24 | 6 | 14 | 4 | 24-20 | 32 |
| 10.ეიბარი | 24 | 7 | 10 | 7 | 33-34 | 31 |
| 11.ბილბაო | 24 | 6 | 12 | 6 | 24-28 | 30 |
| 12.ლევანტე | 24 | 8 | 6 | 10 | 36-43 | 30 |
| 13.ესპანიოლი | 24 | 8 | 5 | 11 | 27-37 | 29 |
| 14.ლეგანესი | 24 | 7 | 8 | 9 | 25-30 | 29 |
| 15.ხირონა | 24 | 6 | 9 | 9 | 25-34 | 27 |
| 16.ვალიადოლიდი | 24 | 6 | 8 | 10 | 19-29 | 26 |
| 17.სელტა | 24 | 6 | 6 | 12 | 36-43 | 24 |
| 18.ვილიარეალი | 24 | 4 | 11 | 9 | 26-31 | 23 |
| 19.რაიო | 24 | 6 | 5 | 13 | 27-41 | 23 |
| 20.უესკა | 24 | 4 | 6 | 14 | 23-40 | 18 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-დორტმუნდი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 22 | 15 | 6 | 1 | 54-23 | 51 |
| 2.ბაიერნი | 22 | 15 | 3 | 4 | 50-26 | 48 |
| 3.გლადბახი | 22 | 13 | 4 | 5 | 42-22 | 43 |
| 4.ლაიპციგი | 22 | 12 | 5 | 5 | 41-19 | 41 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 11 | 3 | 8 | 39-32 | 36 |
| 6.ვოლფსბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 35-30 | 35 |
| 7.აინტრახტი | 22 | 9 | 7 | 6 | 41-28 | 34 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 9 | 5 | 44-32 | 33 |
| 9.ჰერტა | 22 | 8 | 8 | 6 | 35-32 | 32 |
| 10.ვერდერი | 22 | 8 | 7 | 7 | 37-33 | 31 |
| 11.მაინცი | 22 | 7 | 6 | 9 | 23-36 | 27 |
| 12.ფორტუნა | 22 | 7 | 4 | 11 | 25-41 | 25 |
| 13.ფრაიბურგი | 22 | 5 | 9 | 8 | 29-37 | 24 |
| 14.შალკე | 22 | 6 | 5 | 11 | 25-32 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 22 | 4 | 6 | 12 | 31-40 | 18 |
| 16.შტუტგარტი | 22 | 4 | 3 | 15 | 18-50 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-47 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 22 | 2 | 7 | 13 | 17-46 | 13 |

**იტალია. სერია ა**

რომა-ბოლონია ................................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 21 | 3 | 0 | 52-15 | 66 |
| 2.ნაპოლი | 24 | 16 | 5 | 3 | 42-18 | 53 |
| 3.ინტერი | 24 | 14 | 4 | 6 | 34-17 | 46 |
| 4.მილანი | 24 | 11 | 9 | 4 | 35-22 | 42 |
| 5.რომა | 24 | 11 | 8 | 5 | 46-31 | 41 |
| 6.ატალანტა | 24 | 11 | 5 | 8 | 51-34 | 38 |
| 7.ლაციო | 24 | 11 | 5 | 8 | 33-27 | 38 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 8 | 11 | 5 | 37-26 | 35 |
| 9.ტორინო | 24 | 8 | 11 | 5 | 28-22 | 35 |
| 10.სამპდორია | 24 | 9 | 6 | 9 | 40-32 | 33 |
| 11.სასუოლო | 24 | 7 | 9 | 8 | 34-39 | 30 |
| 12.პარმა | 24 | 8 | 5 | 11 | 25-33 | 29 |
| 13.ჯენოა | 24 | 7 | 7 | 10 | 32-41 | 28 |
| 14.კალიარი | 24 | 5 | 9 | 10 | 21-35 | 24 |
| 15.უდინეზე | 24 | 5 | 7 | 12 | 19-31 | 22 |
| 16.სპალი | 24 | 5 | 7 | 12 | 21-36 | 22 |
| 17.ემპოლი | 24 | 5 | 6 | 13 | 30-45 | 21 |
| 18.ბოლონია | 24 | 3 | 9 | 12 | 19-37 | 18 |
| 19.ფროზინონე | 24 | 3 | 7 | 14 | 17-46 | 16 |
| 20.კიევო | 24 | 1 | 9 | 14 | 19-48 | 9 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

კროტონე-პესკარა ........................... 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ბეზიე ..................................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ავიში-ბენფიკა ................................ 0:5

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-პაოკი ............................. 1:5

ოფი-ლამია ..................................... 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ბაშაქშეჰირი .................. 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

დუკლა-სპარტა .............................. 2:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-სლასკი ................................ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოლბორგი ............. 2:1

# ზუროსის გუნდი კრეტაზე დაბანაკდა




საქართველოს ნაკრები საბერძნეთში 11 კალათბურთელით გაემგზავრა, ხოლო თად მაკფადენი, გუნდს ჰერაკლიონში შეუერთდა, სადაც საქართველო 21 თებერვალს საბერძნეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

საბერძნეთში ნაკრებს ვერ დაეხმარება ბუდუჩნოსტის 19 წლის ცენტრი გოგა ბითაძე, რომელმაც ადრიატიკის ლიგის მატჩში ფეხი იტკინა, ერთი კვირა იუქმა, მაგრამ ვარჯიშს უკვე შეუდგა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ნაკრების ხელმძღვანელობა მაქსიმუმს აკეთებს საიმისოდ, რომ ბითაძემ 24 თებერვალს, ესტონეთის წინააღმდეგ, თბილისში მაინც ითამაშოს.

საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა 12-კაციანი შემადგენლობა საბერძნეთში გამგზავრების წინ, ბოლო ვარჯიშის შემდეგ დაასახელა.

ნაკრების შემადგენლობა ასეთია: გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, ტედ მაკფადენი, ოთარ ფხაკაძე, დუდა სანაძე, მიხეილ ბერიშვილი, მიხეილ ჭოჭუა, მერაბ ბოქოლიშვილი, ილია ლონდარიძე, აკაკი დვალიშვილი, ბექა ბექაური, გიორგი შერმადინი.

ვარჯიშის დასკვნითი ნაწილი მასმედიის წარმომადგენლებისთვის ღია იყო და მწვრთნელ-კალათბურთელებთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა.

**გიორგი შერმადინი:**

– საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლო 2 მატჩს მართავს. მართალია, მიზერული, მაგრამ შანსი მაინც გვაქვს. მსოფლიოზე რომ გავიდეთ, საბერძნეთსაც უნდა მოვუგოთ და ესტონეთსაც, ხოლო სერბეთმა ორივე წააგოს. მაქსიმალურად ვეცდებით, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ბოლომდე შევასრულოთ და ორივე მატჩი მოვიგოთ. საბერძნეთში ძალიან რთული იქნება. მართალია, მეტოქეს ბევრი ვარსკვლავი აკლია, მაგრამ მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ და კარგი გუნდიც ეყოლება. რაც შეეხება საკვალიფიკაციოს ბოლო მატჩს, ციკლს ესტონეთთან თბილისური შეხვედრით დავამთავრებთ. მატჩი თბილისში 24 თებერვალს სპორტის სასახლეში გაიმართება. ვეცდებით, გულშემატკივარს კიდევ ერთი გამარჯვება ვაჩუქოთ. იმედი გვაქვს, ქომაგი კვლავ მრავლად მოვა და მხარს ბოლომდე დაგვიჭერს.

**ილიას ზუროსი:**

– სიტუაცია არ არის ისეთი, როგორსაც ვისურვებდით. გვაკლია რამდენიმე კალათბურთელი, ხოლო მაკფადენი საბერძნეთში შემოგვიერთდება. გუნდმა ის თამაში რომ ითამაშოს, რასაც მისგან მწვრთნელი ელის, აუცილებელია, ერთად ვარჯიში და შეთამაშება. საამისოდ კი დრო არ გვაქვს. ამის მიუხედავად, დანებებას არ ვაპირებთ. გვაქვს ჩვენი მიზნები და ვეცდებით მათ მიღწევას.

***– საბერძნეთთან მატჩში წარმატების რა შანსი გვაქვს?***

– ვერაფერს ვიტყვი. მეტოქეს კარგი გუნდი ჰყავს, დიდი გამოცდილება აქვს. მხოლოდ ბურუსისს არ ვგულისხმობ, რომელიც რეალში თამაშობდა, სხვა ბევრი კარგი კალათბურთელი ჰყავთ. მართალია, ისინი ამჟამად ევროლიგის კლუბებს არ წარმოადგენენ, მაგრამ საბერძნეთში მაღალი დონის კონკურენტუნარიანი ჩემპიონატია. ავიღოთ კალათბურთელები აეკიდან – მათ ჩემპიონთა ლიგა აქვთ მოგებული. საბერძნეთში არიან პაოკის მოთამაშეები, რომლებიც წლეულს ევროთასებზე მშვენივრად გამოდიან. არისში თამაშობს ნაკრების წევრი ბოხორიდისი, რომელსაც პანათინაიკოსში თამაშის გამოცდილება აქვს. ძლიერ მეტოქეს ვეთამაშებით, მაგრამ, როგორც დაგპირდით, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის მიზერული შანსიც გვაქვს.***

– რეალისტები უნდა ვიყოთ. ძალა არ დავიშურეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვედრილიყავით, მაგრამ იმ გუნდთან, ვის მაგივრადაც უნდა გვეთამაშა მსოფლიოზე, ვერაფერი გავაწყვეთ, სერბეთს ვერ გავასწარით. თუმცა ძალიან ვამაყობ ჩემი კალათბურთელებით, რადგან ყოველ მატჩში ბოლომდე იხარჯებოდნენ. საქართველოს ნაკრებმა აჩვენა, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. იყო დასანანი მარცხებიც. მაგალითად, საბერძნეთთან, თბილისში, ბოლო წამზე დავთმეთ თითქმის მოგებული შეხვედრა. ლაპარაკია ძალიან ძლიერ საბერძნეთზე.... მთავარია, მომდევნო წელს კარგად მომზადებულები და ორგანიზებულები შევხვდეთ. მომავალ ზაფხულს უნდა მოვაწყოთ ერთგვარი კემპი ახალგაზრდებზე დასაკვირვებლად და მათ განსავითარებლად. თუმცა არის ხელისშემშლელი ფაქტორებიც. მაგალითად, მამუკელაშვილი, რომლისთვისაც ეს მომენტი მშვენიერი იქნებოდა საქართველოს ნაკრებთან მოსამზადებლად. მაგრამ ამერიკის კოლეჯების ლიგაში თამაშობს და სასწავლებელი უფლებას არ აძლევს, შუა სეზონში დატოვოს გუნდი. ეს ნორმალურია. უბრალოდ სისტემის შეცდომაა. ახალი გუნდის მშენებლობა დაწყებული გვაქვს, მაგრამ საჭიროა კალათბურთელების მეტად ერთად ყოფნა. გვჭირდება დრო და მოთმინება. მოთმინება სჭირდება ყველას, ჩვენ, გულშემატკივარს, რადგან კარგად მოგეხსენებათ, ერთ დღეში არაფერი შენდება.

***– საბერძნეთის შემდეგ ესტონეთია, 24 თებერვალს თბილისში.***

– ეს იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო საკვალიფიკაციო მატჩი. ვფიქრობ, შეგვწევს ძალა, რომ ყველაფერი დადებითად დავასრულოთ. რაშიც დარწმუნებული ვარ, ის არის, რომ კალათბურთელები შესაძლებლობების 100 პროცენტს გაიღებენ.

# ბეჟანიშვილი ილინოისის გმირია




გიორგი ბეჟანიშვილზე ჯერ არაფერი ვიცოდით, მაგრამ ისეთი ხმაური ატეხა ამერიკულ კალათბურთსა და მედიაში, რომ ძალიან პოპულარული გახდა.

საუბარი ეხება კალათბურთელს, რომელიც ნცაა-ში თამაშობს, სადაც ასევე სანდრო მამუკელაშვილი და ვილი ისიანი ირჯებიან. მათ შესახებ ადრეც ბევრი დაგვიწერია, მაგრამ 20 წლის ბეჟანიშვილი ამ წლის აღმოჩენაა.

მას შემდეგ, რაც ბეჟანიშვილმა ერთ-ერთ მატჩში 35 ქულა ჩააგდო და კლუბის რეკორდი დაამყარა ახალბედებში, კონფერენციის ჟურნალში სიუჟეტი მიუძღვნეს.

**გიორგი ბეჟანიშვილი:**

– ჯორჯი ბი – ამერიკაში ასე მიცნობენ, რადგან არავის უცდია ჩემი გვარის წარმოთქმა. წარმოშობით რუსთავიდან ვარ, იქ დავიბადე და 14 წლამდე გავიზარდე. ეს იყო ძალიან ნაცრისფერი ქალაქი. მახსოვს, ხშირად არ იყო წყალი, არ იყო ელექტროენერგია, გათბობა. ზამთარში სახლშიც ძალიან ციოდა. სწორედ მაშინ დედამ ევროპაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მე და ჩემი ძმა პატარები ვიყავით, როდესაც დედა სამუშაოს საძებნელად ევროპაში წავიდა. ასე რომ, ჩვენ ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდით. დედა ფიზიკურად ბევრს მუშაობდა ავსტრიაში და ფულს გვიგზავნიდა, მაგრამ უკან ვერ ჩამოდიოდა და ტელეფონით გველაპარაკებოდა კვირაში ერთი-ორჯერ. თუმცა, არასდროს ნებდებოდა, მისი სურვილი იყო, რომ მის შვილებს მომავალი ჰქონოდათ. 14 წლის დედასთან ავსტრიაში ჩავედი და ახლა საუკეთესო მეგობრები ვართ. ადამიანებს სხვადასხვა გმირები ჰყავთ, ჩემი გმირი კი დედაჩემია. მან ბოლომდე იბრძოლა თავისი შვილების მომავლისთვის. ჩემი ძმა დავითი და დედა ავსტრიაში ცხოვრობენ, ჩვენ ყოველდღიურად ვეხმიანებით ერთმანეთს. დედას ძირითადად რუსულად ველაპარაკები, რადგან ბებია რუსი მყავს და დედა რუსულად უკეთ საუბრობს...

...კალათბურთის თამაში ვენაში დავიწყე და საკმაოდ კარგადაც გამომდიოდა. იქ ამერიკელებიც იყვნენ. შემდეგ ნიუ იორკში და ნიუ ჯერსიში კოლეჯში მოვხვდი. ჩემთვის ამერიკული კალათბურთი დიდი წინსვლა იყო. თავიდან გამიჭირდა, რადგან ევროპულ კალათბურთთან სხვაობა დიდია. ერთხელ კარგი მატჩი გამომივიდა, რომელსაც ილინოისის მწვრთნელი ბრედ ანდერვუდი დაესწრო, ასე მოვხვდი ილინოისში...

... დიონ ტომასის რეკორდი დავამხე – 35 ქულა ჩავაგდე. დიდებული მომენტი იყო, რადგან დიონიც იქვე იყო. ჩემთვის მისი რეკორდის დამხობა დიდი პატივია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## სტუდენტმა თავის ტკივილით დაიძინა და ახალდაბადებული ბავშვით გაიღვიძა



ბრიტანელმა სტუდენტმა გოგონამ თავის ტკივილი იგრძნო, ხოლო ხელოვნური კომიდან გამოყვანის შემდეგ გონს ბავშვის დედის ამპლუაში მოვიდა.

დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ოლდემის მკვიდრი ებონი სტივენსონი ძლიერი თავის ტკივილის გამო დასაძინებლად 20:30 საათზე წავიდა. როგორც 18 წლის გოგონა ამტკიცებს, არ ახსოვს, თუ როგორ ადგა, შევიდა სააბაზანოში, სადაც კრუნჩხვაში ჩავარდა. გოგონას დედა შერიმ სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ექიმებმა პირველ რიგში იკითხეს, გოგონა ფეხმძიმედ ხომ არ იყო.

დედამ მათ განუცხადა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ამ დროს კი გაოგნებული დედის თვალწინ ებონის მუცელი გამოეზარდა. ექიმებმა ქალს აუხსნეს, რომ მის ქალიშვილს პრეკლამპსია ჰქონდა – ტოქსიკოზის მძიმე ფორმა ფეხმძიმობის ბოლო სტადიაზე.

ებონი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში შეიყვანეს. იმავე ღამით ექიმებმა სასწრაფო საკეისრო კვეთა გააკეთეს. დედამ თავისი ახალშობილი გოგონა მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ ნახა, როდესაც კომიდან გამოვიდა.

– ეს ალბათ საშინლად ჟღერს, მაგრამ, როდესაც ბავშვი მომიყვანეს და მკერდზე დამიწვინეს, მისი წაყვანა მოვითხოვე, ვინაიდან შოკში ვიყავი და ვიფიქრე, რომ ვიღაცაში ავერიე, – გაიხსენა ებონი,

ექიმების განმარტებით, გოგონამ იმიტომ არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო, რომ მას თანდაყოლილი ორი საშვილოსნო აქვს. როდესაც ერთში, რომელიც ზურგის მხარეს მდებარეობდა, ნაყოფი ვითარდებოდა, მეორე ჩვეულებრივ ფუნქციონირებდა და ამიტომ ებონის მენსტრუაცია არ შესწყვეტია. თავად გოგონამ კი აღიარა, რომ ბავშვის გაჩენა მის გეგმებში არ შედიოდა.

## მშობლებმა მოზარდი არყით დაათვრეს და კინაღამ დაღუპეს

ჩინეთში 13 წლის მოზარდი საავადმყოფოში სერიოზული ალკოჰოლური მოწამვლით მას შემდეგ მიიყვანეს, რაც მამამ აიძულა, ჩინური არაყი ბაიცზიუ დაელია.

ინციდენტი ორშაბათს ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანში მოხდა. ოჯახური სადილის დროს მამაკაცმა აიძულა თავისი შვილი, 100 მილილიტრი ბაიცზიუ დაელია. მას ასეთი ხერხით სურდა, შვილს სპირტიანი სასმელების დალევა ესწავლა.

მშობლები მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ მათი შვილი შეუძლოდ იყო, როდესაც სადილობა დაასრულეს. მოზარდს სახეზე წითელი ფერი დაედო. ის მაგიდაზე იწვა და დაძახებაზე არ რეაგირებდა, ტემპერატურამ აუწია.

მოზარდი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მორიგე ექიმ ლიუ ლინის თქმით, ოჯახის ყველა წევრს სპირტიანი სასმელის სუნი ასდიოდა. მოზარდს სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა ის გონს მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა.

მოზარდის მამამ საქციელი მოინანია და პირობა დადო, რომ შვილს ასე აღარასოდეს მოექცეოდა.

## პოლიციელებმა მანქანის გამტაცებელს ავტომობილის გაღებისა და ბავშვის გადარჩენის ნება დართეს



ამერიკის ფლორიდის შტატში დამნაშავემ, რომელიც სასჯელს მანქანის გატაცებისთვის იხდის, მანქანის სალონში ჩაკეტილი ერთი წლის ბავშვი გადაარჩინა.

პატარა გოგონას მამამ თავისი ყველგანმავლის კარი მიხურა ისე, რომ გასაღები ავტომობილის სალონში დარჩა, რის შემდეგაც მანქანა ავტომატურად ჩაიკეტა. იმ მომენტში, როდესაც მამაკაცი ქვით მანქანის მინის ჩამსხვრევას აპირებდა, შენიშნა შერიფმა, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულების დროს ხუთ მსჯავრდებულს უწევდა ზედამხედველობას.

ერთ-ერთი მსჯავრდებული მანქანის გამტაცებელი აღმოჩნდა. მან პოლიციელის თანხმობით მავთულისგან გასაღები დაამზადა და ორ წუთში ბავშვი უკვე განთავისუფლებული იყო.

ოლქის შერიფმა კრის ნოკომ მომხდარს უნიკალური სიტუაცია უწოდა, როდესაც დანაშაულებრივი ჩვევები კეთილი საქმისთვის იქნა გამოყენებული.

## ტბაში ორმეტრიანი არსების გამოჩენამ იქ მყოფები შეაშინა



ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ გუანჩჟოუს ერთ-ერთ პარკში უცნაური არსების გამოჩენამ იქ მყოფები საკმაოდ შეაშინა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ პარკის თანამშრომლის თვალწინ ტბა ბაიუნიზე მოხდა.

– მისი ზურგი შავი ფერის იყო და კუს მიუგავდა, – განუცხადა მან ჟურნალისტებს, – შემდეგ გამოჩნდა მისი თავი და ის გველის თავს ჰგავდა.

მისი შეფასებით, უცნობი არსების სიგრძე, სულ მცირე, ორი მეტრი იქნებოდა.

ამის შემდეგ ტბის სანაპიროსთან დადგეს ფირნიში წარწერით, რომ წყალში შესვლა აკრძალული იყო, ხოლო პარკის თანამშრომლები უცნაური არსების დაჭერისთვის მზადებას შეუდგნენ. უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, ტბის ბინადარი უცნაური არსების შესახებ ადრეც იყო ცნობილი, თუმცა მისი იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა.

მეოთხე დღეს პარკის თანამშრომლებმა ტბიდან ორი მისისიპის Shellfish ამოიყვანეს 1,2 და 0,9 მეტრი სიგრძის. ისინი ფიქრობენ, რომ თევზები ტბაში მდინარე ჩჟუცზიანიდან 2013 წელს წყალსატევის ჩამკეტი სარქველების აწევის შემდეგ მოხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობის თევზის საბინადრო ადგილს ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა წარმოადგენს, თუმცა დროდადრო მათ მათთვის უჩვეულო ადგილებშიც ხედავენ, კერძოდ, კასპიის ზღვაში ინდოეთში, ჰონგ კონგსა და სინგაპურში. ის მტკნარი წყლის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბინადარია. მისმა სიგრძემ, შესაძლოა – სამ მეტრს, ხოლო წონამ 130 კილოგრამ მიაღწიოს.

## პუმა ხეზე აძვრა და იქ გაიჭედა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ჰისპერიაში პუმა ხეზე აძვრა და იქ 15 მეტრის სიმაღლეზე გაიჭედა.

ინციდენტი ორი დღის წინ მოხდა. სახლის პატრონი ბაღში მუშაობდა, როდესაც მისი ყურადღება გარეულმა ცხოველმა მიიპყრო, რომელიც მისი ნაკვეთის მახლობლად მაღალ ხეზე იყო გაჭედილი. მან მაშველები გამოიძახა ცხოველის გადასარჩენად.

შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები და ბუნების დამცველები მივიდნენ. მტაცებელი ცხოველი დააძინეს, შემდეგ კი ხეზე ავიდნენ და თოკების დახმარებით გაათავისუფლეს. ბიოლოგებმა პუმა გულდასმით გასინჯეს, ხომ არ ჰქონდა რაიმე დაზიანება, შემდეგ კი, გონს მოსული, ბუნებაში დააბრუნეს.

## ბავშვი სრულფასოვანი კბილით დაიბადა



დიდ ბრიტანეთში გოგონა სრულფასოვანი სარძევე კბილით დაიბადა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ბლეკპულის მკვიდრმა 18 წლის ბეტანი გრინმა გააჩინა გოგონა, რომელსაც სახელად ეივერი დაარქვა. მშობიარობამ, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა წარმატებით ჩაიარა როგორც დედის, ისე ახალშობილისთვის. ბავშვის გასინჯვის დროს მედდებმა შენიშნეს, რომ ახალშობილს ქვედა ღრძილიდან სარძევე კბილი მოუჩანდა.

დედამ კონსულტაციისთვის კბილის ექიმს მიმართა.

– მათ აქამდე მსგავს შემთხვევასთან შეხება არ ჰქონიათ და მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, – განაცხადა გრინმა, – მათ მთხოვეს, ბავშვი იმ დროს მიმეყვანა, როდესაც მიღებაზე სტუდენტებიც იქნებოდნენ, რათა მათთვის ეს უჩვეულო შემთხვევა ენახებინათ.

ჩვეულებრივ, ჩვილ ბავშვს კბილების ამოსვლა ოთხიდან შვიდი თვის ასაკში ეწყება. გრინის თქმით, ის ბავშვისთვის კბილის ამოღებას არ აპირებს. ექიმებმა კი ურჩიეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის ახალშობილის გამოკვებას ძუძუთი აპირებს, მაშინ, უმჯობესია, თუ კბილს ამოუღებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 20 თებერვლისთვის



**ვერძი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ღატაკი, უსახლკარო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული უქოჩრო თუთიყუში; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ბაღჩეული ხილი; 6. ქართული სპორტული გაზეთი; 7. „აბდულმესიანის" ავტორი; 10. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 11. ბრიტანეთის ნაწილი; 12. უგემოვნო სანახაობა, წარმოდგენა; 13. სმენის ორგანო; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. ჩეჩნეთის დედაქალაქი; 21. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 24. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

**თარაზულად**: 1. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 3. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. ბელგიური ავიაკომპანია; 9. ფოროვანი მინერალი, სამშენებლო მასალა; 14. ფინური ელექტროტექნიკური ფირმა; 15. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 17. პერუს დედაქალაქი; 20. პერანგის ქართული სახელწოდება; 22. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 23. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 25. სამჭედლო იარაღი; 26. ძვირფასი ლითონი; 27. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 28. ოსური ხაჭაპური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბავარია; 2. ანტონიმი; 3. პლანიცა; 5. მატადორი; 7. მურილიო; 9. გერიატრია; 13. სიმეონე; 15. შუამთა; 16. ბოგოტა; 18. ავაზა.

**თარაზულად:** 4. ქალამანი; 6. კონსუელო; 8. კაპიტოლიუმი; 10. ბაიკერი; 11. რიცი; 12. ვისოლი; 14. ფშავი; 17. შტილი; 19. ვაისი; 20. ფონიჭალა; 21. არნო; 22. ჩაკვეტაძე; 23. მაჩაიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შუკა; 2. ემუ; 3. კაპიტალი; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. ბობი; 7. ბენფიკა; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. კები; 16. ენისეი; 18. ენოლოგი; 19. სკონტო; 21. ლეღვი; 24. ტემზა.

**თარაზულად:** 1. შარდონე; 3. კვარცი; 8. ბოჟოლე; 9. კოხი; 14. ფლეში; 15. ტენორი; 17. ჭონა; 20. ლენგლი; 22. ლანჩა; 23. კოიოტი; 25. ფხა; 26. საბო; 27. ალია; 28. მოლდავეთი.

# მარინა ბერიძე ახალ მუსიკალურ შოუს უხელმძღვანელებს




„მასტერკლასი“ – ასე ეწოდება ახალ მუსიკალურ შოუს, რომელიც სულ მალე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოჩნდება.

ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი შოუს მუსიკალური ხელმძღვანელი მარინა ბერიძე იქნება. პროექტში მონაწილეობა 8-დან 14 წლამდე ასაკის კონკურსანტებს შეეძლებათ. შოუს პირველი შესარჩევი ეტაპი პირველ მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შენობაში გაიმართება.

ინფორმაცია ამის შესახებ ტელეწამყვანმა **ნანუკა ჟორჟოლიანმა** გაავრცელა:

– ვიწყებთ ახალ მუსიკალურ პროექტს. იმღერებენ ბავშვები და მათი მუსიკალური ხელმძღვანელი იქნება ამ საქმის გენერალი მარინა ბერიძე. გელოდებით ეთერში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ნანი ბრეგვაძე მსმენელს შეხვდება



მომღერალი ნანი ბრეგვაძე 20 თებერვალს თავის ერთგულ მსმენელს შეხვდება და მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ეტაპებზე ისაუბრებს.

შეხვედრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრში გაიმართება.

შეხვედრის ინიციატორია თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე, რომელიც ახორციელებს პროექტს „შეხვედრები თეატრალურში“ და საზოგადოებას სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ხელოვანებს წარუდგენს.

„თეატრალური შეხვედრების“ ციკლის ფარგლებში ამჯერად ნიკოლოზ წულუკიძე მსმენელს ლეგენდარულ ნანი ბრეგვაძეს შეახვედრებს.

საღამოზე, რომელსაც ნიკოლოზ წულუკიძე გაუძღვება, დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# პატარა გოგონა სადგურის რენტგენის აპარატში შეძვრა



ჩინეთში ხუთი წლის გოგონა, სანამ მისი მშობლები და დაცვის თანამშრომლები საქმით იყვნენ დაკავებული, სადგურის ნივთების გასაშუქებელ მოწყობილობაში შეძვრა.

ინციდენტი შანდუნის პროვინციის ქალაქ ცზინანის დამინხუს რკინიგზის სადგურში მოხდა. სადგურის შესასვლელში რიგი იდგა, ბავშვმა კი რიგში დგომა არ მოისურვა და რენტგენის აპარატში შეძვრა იმ დროს, როდესაც მისი მშობლები უკვე შესამოწმებელ აპარატში გადიოდნენ. გარშემომყოფებს გოგონას შეჩერება არ უცდიათ.

ბავშვმა ძალზე გააკვირვა არა მხოლოდ თავისი მშობლები, არამედ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებიც, როდესაც მონიტორებზე ბავშვის სილუეტი შენიშნეს, რომელზეც მგზავრების ბარგის შიგთავსი გადაიცემა. ამის შემდეგ ისინი გოგონას მშობლებს გაესაუბრნენ. თავად გოგონა არ დაშავებულა, ხოლო რენტგენის აპარატის რადიაციის დოზა ჯანმრთელობისთვის საშიში არ ყოფილა.

– გთხოვთ ბავშვს აუხსნათ, რომ ეს აპარატი მხოლოდ ბარგისთვისაა განკუთვნილი, – სთხოვეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გოგონას მშობლებს. მათ ასევე მოუწოდეს, რომ მეტი ყურადღება გამოიჩინონ ბავშვის მიმართ.

# რეზო ესაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



მსახიობსა და რეჟისორს რეზო ესაძეს 21 თებერვალს ვარსკვლავს გაუხსნიან.

85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში ქართველი კინორეჟისორის, სცენარისტის, მსახიობის და მხატვრის რეზო ესაძის გამოფენის გახსნა და კატალოგის პრეზენტაცია გაიმართება, მოგვიანებით კი კინოთეატრ რუსთაველთან მისი ვარსკვლავი გაიხსნება.

რეზო ესაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული 122 ფილმში, თვითონ კი 11 ფილმი აქვს გადაღებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ფიზიკის მასწავლებლად სკოლაში.

რეზო ესაძემ ქართულ კინოში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ოქროს პრომეთე მიიღო.

# ჯარისკაცმა ყალბი ფული დაამზადა და საქორწინო ხარჯებისთვის საცოლეს მისცა



მალაიზიელმა ყალბი ფული იმისთვის დაამზადა, რომ მდიდრული ქორწილი გადაეხადა და ჩავარდა.

ჯარის მოსამსახურე, კაპრალი, სამხედრო ბაზის ქსეროქსის დახმარებით რამდენიმე დღის განმავლობაში ოთხი ათას მალაიზიურ რინგიტს ამზადებდა. 28 წლის ჯარისკაცმა ისინი ნამდვილ ფულს შეურია და საქორწინო ხარჯებისთვის თავის საცოლეს გადასცა. ხარჯების გადადება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქორწილი 30 მარტისთვის იყო დანიშნული.

საცოლემ ბანკნოტების უცნაურ შესახედაობას მიაქცია ყურადღება, მამაკაცმა კი უთხრა, რომ ეს ფული ბანკომატიდან აიღო, დასარწმუნებლად კი ქვითრები აჩვენა, რომელიც ბანკომატთან დადგმული ურნიდან ჰქონდა ამოღებული. საცოლემ ურჩია, პოლიციისთვის მიემართა.

ჯარისკაცმა პოლიციაში განცხადება შეიტანა იმისი იმედად, რომ ბანკი ყალბ ფულს ნამდვილით შეუცვლიდა. ამის მაგივრად ის მეორე დღესვე დააპატიმრეს. მისგან ამოიღეს 55 ცალი 50 და 100 რინგიტის ნომინალის კუპიურები, 100 რინგიტი ნამდვილი ფული და ასლის გადასაღები აპარატი.

# 10 წლის ქართველმა მომღერალმა გერმანულ „ვოისში“ მწვრთნელები გააოცა



10 წლის ქართველმა მომღერალმა ელენემ გერმანულ საბავშვო „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა.

გოგონამ ბრმა მოსმენების ტურში სტივ უანდერის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა შეასრულა. ელენემ ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა და დარბაზიც ფეხზე დააყენა.

მოულოდნელი წარმატებისგან ქართველმა კონკურსანტმა სიხარულისგან იტირა და დარბაზის მქუხარე აპლოდისმენტებს და ხანგრძლივ ოვაციებს ასე უპასუხა.

# მამაკაცმა საკუთარ თავს „სასწაულმოქმედი“ უწოდა

ავსტრალიაში გამოჩნდა სპერმის დონორი, რომელსაც 2500 ქალის განაყოფიერება სურს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მამაკაცმა, რომელიც საკუთარ თავს ჯო დონორს უწოდებს, განაცხადა, რომ ავსტრალიაში იანვარში ჩამოვიდა. ის ამტკიცებს, რომ მანამდე აშშ-სა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ცხოვრობდა და უკვე შეეცადა, 800-ზე მეტი ქალი გაენაყოფიერებინა. ის ირწმუნება, რომ მინიმუმ ასი ბავშვის მამაა.

ის საკუთარ თავს „სასწაულმოქმედს“ უწოდებს და უპირატესობას ქალის სქესობრივი აქტის საშუალებით განაყოფიერებას ანიჭებს და არა სპერმის დონორობით. ჯო დონორის ვერსიით, ეს მეთოდი გაცილებით ეფექტურია. მამაკაცის თქმით, მისი კლიენტების უმეტესობა უპირატესობას ბუნებრივ განაყოფიერებას ანიჭებს. ის საკუთარ მომსახურებაში ფულს არ იღებს, მაგრამ სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს.



ის ასევე კლიენტებს არ უმხელს ინფორმაციას საკუთარ თავზე, წარმომავლობასა და ჯანმრთელობაზე.

– ზოგიერთს სურს, რომ მე მათ საკუთარ თავზე ინფორმაცია მივაწოდო და ნარკოტიკების ტესტი ჩავაბარო, მე კი მათ ვეუბნები: იცი, შენ მე ბირთვული რაკეტის გამშვებ ღილაკს კი არ მაძლევ, ჩვენ მხოლოდ ბავშვს ვაკეთებთ, – აცხადებს ჯო დონორი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მზია ორველაშვილი ცეკვას უბრუნდება



მოცეკვავე მზია ორველაშვილი ცეკვას უბრუნდება და გაცდენილი დროის მაქსიმალურად ანაზღაურებას აპირებს:

– დიდი ფიქრის მერე და ჩემი ოჯახის დიდი თხოვნით გადავწყვიტე, დავბრუნდე ჩემ საყვარელ და ჩემ ბედნიერ საქმიანობაში და გავაგრძელო ცეკვა პროფესიონალურად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა უსაზღვროდ საყვარელი კოლეგა და გულთბილი მეგობარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიამაყე, ბრწყინვალე ხელოვანი და საუკეთესოთა შორის საუკეთესო პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღირსების ორდენოსანი

**ციალა კანდელაკი**

წავიდა და დაგვიტოვა თავისი დიდებული შემოქმედება, ულამაზესი მხატვრული ტილოები – მისი თვალით დანახული მშვენიერ ქალთა პორტრეტები... დიახ, ციალა მუდამ მშვენიერს პოულობდა და თავისი ყალმით ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემდა ადამიანის სულის დადებით თვისებებს. ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივ პიროვნებას თავისი ჯადოსნური ფუნჯით ისე მიეფერებოდა, რომ ულამაზეს ქალად გადააქცევდა და უამრავ ღირსებას მიაწერდა. ციალა კანდელაკი ასევე ცნობილია თავისი თბილი იუმორითა და საოცარი თხრობის მანერით, თავისი ბრძნული დარიგებებით. რამდენი ახალგაზრდა დაუყენებია სწორ გზაზე, რამდენი გამოუცდელი კოლეგისთვის მიუცია სწორი გეზი ცხოვრებაში.

წავიდა უსასრულობაში ჩვენი მეგობარი – საყვარელი, ძალიან საყვარელი ადამიანი დავკარგეთ, რომლის დავიწყება შეუძლებელია და ჩვენც მუდამ სიყვარულით მოვიგონებთ მას, მის სიკეთით სავსე ულამაზეს თვალებს, მზრუნველ მზერას. ახლა უკვე სევდანარევი ღიმილით გავიხსენებთ მის იუმორს, რომლითაც სიცოცხლეში ასე გვახარებდა. მშვიდობით, ჩვენო საყვარელო, დაუვიწყარო მეგობარო!

**მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი

**ციალა კანდელაკი**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

20 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6404 |
| ევრო | 2.9908 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.413 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9898 |

**ამინდის პროგნოზი 20 თებერვლისთვის**





## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას „მე მიყვარს კითხვა“

**19 თებერვლიდან**

ჯონათან სვიფტი
**გულივერის მოგზაურობა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

**12 თებერვლიდან**

სულხან საბა ორბელიანი
**სიბრძნე სიცრუისა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

**15 თებერვლიდან**

გუსტავ ფლობერი
**მადამ ბოვარი**



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**14 თებერვლიდან**



ავთანდილ ბუხრაშვილი
**ქალი ჩანთაში**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## იუმორი

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– რას პასუხობ ცოლს, როდესაც ის გეუბნება: „მე რომ არა, უჩემოდ როგორ იქნებოდი?“

– არაფერს, უბრალოდ, მთავარია, რომ ამ დროს, ოცნებებში წასულს, არ გაგეღიმოს.

•••

ტელეფონით გაცნობის ახალი სამსახური გაიხსნა.

– ალო, გოგონა!

– დიახ, გისმენთ!

– თქვენი გაცნობა შეიძლება?

– რა თქმა უნდა, ოღონდ საკუთარი თავი ამიწერეთ...

– დაბალი ვარ, მსუქანი, პირგაუპარსავი, შეუხედავი!

– გივი, შენ ხარ?!

•••

აღშფოთებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– ისევ დალიე, ხო?! გუშინ ცამდე ბედნიერი ვიყავი, როდესაც ფხიზელი მოხვედი!

– ჰოო, დღეს კი ჩემი ჯერია, თავი ბედნიერად ვიგრძნო.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, რომ ჰალუციოგენური იარაღი შეუქმნიათ და უკვე მოხალისეებზე გამოცდაც კი მოუწყვიათ.

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მაგ იარაღს მუდმივად ცდიან ჩვენს მინისტრებსა და დეპუტატებზე მათი სიტყვით გამოსვლის წინ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ ნიდერლანდებში კბილების კარიესის პრობლემა გადაჭრილია?

– როგორ?

– როგორ და კბილის პასტაში სულ ათი გრამი კანაფი და კბილებს დღეში ერთხელ და ორჯერ კი არა, არამედ სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერაც კი იხეხავენ.

•••

ქმარი ცოლს უყვირის:

– სადილი მაინც მოგემზადებინა, გველო!

– არ შემიძლია... ხელები არ მაქვს!

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– რა, თვალს მიპაჭუნებთ?

– მაპატიეთ, უბრალოდ, ნერვის ბრალია.

– ნაძირალა! მე კი უკვე განწყობა შევიქმენი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 85 წლის ასაკში კარლ ლაგერფელდი გარდაიცვალა



85 წლის ასაკში გერმანელი დიზაინერი და Chanel-ის მოდის სახლის კრეატიული დირექტორი კარლ ლაგერფელდი გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაცია Le Figaro-მ გაავრცელა.

გარდაცვალების ზუსტი მიზეზი არ სახელდება. ფრანგული მედიის ინფორმაციით, ის ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეუძლოდ იყო.

Paris Match-ის ცნობით, 18 თებერვლის ღამეს იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 19 თებერვლის დილას გარდაიცვალა.

იანვრის ბოლოს ახალი კოლექციის ჩვენების შემდეგ ლაგერფელდი საზოგადოების წინაშე არ გამოვიდა, რამაც ყველა ააფორიაქა. ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, მოყოლებული 1983 წლიდან, როცა კარლ ლაგერფელდი Chanel-ის მოდის სახლის კრეატიულ დირექტორად დაინიშნა.

## ხოსეპ გვარდიოლა: „შალკესთან ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ შალკესთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ყურადღება არ უნდა მოადუნოს.

სიტი შალკეს წინააღმდეგ უდავო ფავორიტია, მაგრამ, გვარდიოლას აზრით, შეიძლება, ყველაფერი მოხდეს.

– ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მეტოქეები არ არსებობენ, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. შალკეს ამ ტურნირში საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ბუნებრივია, ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება შორს წავიდეთ და ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. ამისთვის ძალებს არ დავიშურებთ, – განაცხადა გვარდიოლამ.

## ჰარი კეინი მალე დაბრუნდება

ტოტენჰემის ფორვარდი ჰარი კეინი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ის მალე დაუბრუნდება მოედანს.

კეინმა ტრავმა 13 იანვარს მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო და თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ის დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებდა თამაშს, მაგრამ ჰარიმ ტრავმა უფრო ადრე მოირჩინა.

კეინის დაბრუნებას ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო გამოეხმაურა, რომელმაც თქვა, რომ კეინი მისი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა.

## პოლ პოგბა: „სოლსკიაერმა რწმენა დაგვიბრუნა“



პოლ პოგბამ ოლე გუნარ სოლსკიაერზე ისაუბრა და თქვა, რომ მას შემდეგ, რაც სოლსკიაერი მანჩესტერ იუნაიტედს ჩაუდგა სათავეში, ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა მოემატათ. გარდა ამისა, პოგბა დარწმუნებულია, რომ სოლსკიაერს შეუძლია ტიტულების მოგება.

– ბოლო პერიოდში თითქმის ყველა ფეხბურთელმა მოუმატა თამაშის ხარისხს და ეს სოლსკიაერის დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია ტიტულების მოგება, რაშიც ჩვენ უნდა დავეხმაროთ, – განაცხადა პოგბამ.

## დიბალამ კრიშტიანუ რონალდუ შეაქო

პაულო დიბალამ კრიშტიანუ რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ პორტუგალიელი ამპარტავანი არ არის და მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა.

დიბალას აზრით, რონალდუზე ბევრს არასწორი წარმოდგენა აქვს:

– კრიშტიანუზე ხშირად ამბობენ, რომ ის ამპარტავანია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ის მშვიდი და ნორმალური ადამიანია. მასთან ერთად თამაში ძალიან მსიამოვნებს, რადგან ბევრს ვსწავლობ. ის და მესი დღეს მსოფლიოში საუკეთესოები არიან.

რონალდუზე სხვა თანაგუნდელებიც იმავეს ამბობენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბონუჩიმ რეალს უარი უთხრა

ლეონარდო ბონუჩი ერთ-ერთ ინტერვიუში მადრიდის რეალს შეეხო და თქვა, რომ ზაფხულში რეალს მისი შეძენა სურდა, მაგრამ ბონუჩი მხოლოდ იუვენტუსში დაბრუნებაზე ფიქრობდა:

– რეალი ჩემი შეძენით იყო დაინტერესებული და ჩემთვის ეს დიდი პატივია, რადგან რეალი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. სხვა დროს შეიძლებოდა, მის წინადადებაზე მეფიქრა, მაგრამ ჩემთვის მთავარი იუვენტუსში დაბრუნება იყო.

ლეონარდო ბონუჩიმ 2017 წელს იუვენტუსი დატოვა და მილანში გადავიდა, სადაც მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა.




## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. რამის გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 9. სტადიონი კარდიფში; 13. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 15. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში – ჭაობში, მთებში; 16. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 18. ნავსადგური ისრაელში.

**თარაზულად**: 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ტბა ჯავახეთში; 11. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 17. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 19. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 20. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 21. ფულის ერთეული იაპონიაში; 22. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 23. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

